

მუხლი 83. ქართულის, როგორც მეორე ენის წლიური პროგრამები ქართული, როგორც მეორე ენა დაწყებით საფეხურზე

I კლასი (დონე)

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|--|--|
| სტანდარტის შედეგები | I კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს, გამოთქმებს, მარტივ ნასწავლ ენობრივ ფორმულებსა და კონსტრუქციებს; ➤ არავერბალური საშუალებებით სათანადოდ რეაგირებს მითითებებზე; ➤ ამოიცნობს პერსონაჟებსა და ინტონაციით გამოხატულ მარტივ ემოციებს; ➤ ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (გარეგნობას - <i>ფერს, ფორმას, ზომას; ადგილმდებარეობას, მოქმედებებს</i>). |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მარტივი ილუსტრირებული მინიდილოგები; მარტივი აღწერითი/ნარატიული ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები;</p> <p>ბ) ლექსები და სიმღერები; გათვლები, ენის გასატეხები;</p> <p>გ) ადაპტირებული ილუსტრირებული ზღაპრები;</p> <p>დ) მასწავლებლის მითითებები და მარტივი ინსტრუქციები;</p> <p>ე) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო ილუსტრაციებსა და სათაურზე დაყრდნობით; ➤ უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ამოსაცნობად ნაცნობი ვერბალური თუ არავერბალური ელემენტების გამოყენება (მიმიკა/ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია...). | |

| | |
|---|---|
| კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები: | |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ რეპლიკებისა და წინადადებების დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციებთან; ➤ ხმის ტემბრის ან კონკრეტული ნიშან-თვისების მიხედვით პერსონაჟების (ადამიანის, ცხოველის, საგნის) დაკავშირება რეპლიკებთან ან ილუსტრაციებთან; ➤ პერსონაჟის, ცხოველის, საგნის ან კონკრეტული მოქმედების განსახიერება მიმიკა-ჟესტიკულაციითა და რიტმული მოძრაობებით; ➤ აღწერილი პერსონაჟის (ცხოველის/საგნის) მითითება, გაფერადება, შემოხაზვა ➤ და სხვა. | |
| მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები | |
| სტანდარტის შედეგი: | I კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: |
| ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ყველა ბეჭდურ და ნაწერ ასოს; ➤ პირდაპირი გზით (გაშიფვრის გარეშე) ამოიცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვების ორთოგრაფიულ ხატს¹; ➤ ილუსტრირებულ ტექსტში პოულობს ნაცნობ სიტყვებსა და ორ-სამსიტყვიან წინადადებებს; ➤ ავლენს წიგნსა და ტექსტზე მუშაობის ელემენტარულ ჩვევებს (მაგ., <i>ამოიცნობს წიგნის კომპონენტებს: ყდას, ფურცელს, ილუსტრაციას, ტექსტს, სათაურს, ავტორს; გამოყოფს ტექსტში წინადადებებს, წინადადებებში სიტყვებს, სიტყვებში ასოებს</i>). |
| ქ.მ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების გამოყენებით ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა. | <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს; ➤ ავტომატურად და უშეცდომოდ კითხულობს ნასწავლ სიტყვებს; ➤ მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით კითხულობს ორ-სამსიტყვიან წინადადებებს; ➤ კითხვის დროს წინადადებს შორის აკეთებს პაუზას. |
| რეკომენდაციები | |
| ტექსტზე მუშაობის ელემენტარულ ჩვევებზე მუშაობა შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს: | |
| <p>ა) მცირე ზომის ილუსტრირებული ზღაპარი (ან ნაწყვეტი ზღაპრიდან), ლექსი, ენის გასატეხი, გამოცანა და სხვა;</p> <p>ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი მცირე ზომის ტექსტები (მინიდილოგები, აღწერილი და საანბანო ტექსტები).</p> | |
| სტრატეგიები: | |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე ვარაუდის გამოთქმა ტექსტის შინაარსის შესახებ ილუსტრაციებზე დაყრდნობით; ➤ სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების (ილუსტრაციის, სავარჯიშოს პირობის, ძირითადი ტექსტის) გამოყოფა; ➤ ტექსტის (რეპლიკის, ლექსის სტროფის) დასაწყისისა და დასასრულის გამოყოფა. | |
| კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები: | |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ერთმანეთთან შედარება, საერთო მარცვლების, ასოების პოვნა და გაფერადება / შემოხაზვა; ➤ სიტყვათა ჩამონათვალში წინასწარ მითითებული ასოს, მარცვლის, სიტყვის პოვნა; ➤ დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა; ➤ ასოების მარცვლებად, მარცვლების - სიტყვებად გამოთლიანება; ➤ აზრების, წინადადებების, სტრიქონების დასაწყისისა და დასასრულის მოძიება და მითითება; | |

¹ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა - მთლიანი სიტყვის ამოცნობა დამარცვლა-დანაწევრების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით. როცა მოსწავლეს მეხსიერებაში აქვს კონკრეტული სიტყვის ორთოგრაფიული ხატი, ანუ მასში მოცემულ ასოთა მოწესრიგებული თანამიმდევრობა, იგი დანახვისთანავე აკავშირებს ამ ხატს სიტყვის მნიშვნელობასთან.

- აზრადმიწინააღმდეგობის, წინადადებაში სიტყვების რაოდენობის დათვლა;
- არეული თანმიმდევრობით მოცემული ასოებისაგან / მარცვლებისაგან სიტყვების აწყობა; სიტყვის აწყობა მოძრავი ანბანით;
- სიტყვების ანბანური რიგით დალაგება;
- სიტყვის / წინადადების ილუსტრაციასთან დაკავშირება;
- მიჯრით მიწყობილი სიტყვების ხაზით გამოყოფა;
- მითითებულ ტექსტში კონკრეტული სიტყვის ან წინადადების პოვნა
- და სხვა.

| მიმართულება კომუნიკაცია: წერა | |
|--|---|
| სტანდარტის შედეგები | I კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოდელის მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის წერა ნასწავლი თემატიკის გარშემო. | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხელის სწორი მოძრაობით გამოწერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით; ➤ იცავს ოთხხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების პრინციპს; ➤ გადმოწერს ნაცნობ სიტყვებსა და ორ-სამსიტყვიან წინადადებებს. |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) ენის გასატეხი, გამოცანა, გათვლა და სხვა;</p> <p>ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი ორ-სამწინადადებიანი ტექსტები (მინიდილოგები, აღწერითი და საანბანო ტექსტები).</p> | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილების ხელის სწორი მოძრაობით გამოსახვა; ➤ გამოტოვებული ადგილების შევსება (სიტყვებში - ასოების; წინადადებაში - სიტყვების); ➤ ნახატის შექმნა და დასათაურება, ამის შემდეგ მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი სათაურის გადმოწერა (გადმოხატვა) დაფიდან (მაგ., ჩემი ოჯახი, ჩემი კლასელი, ჩემი ძაღლი / სახლი და ა.შ.); ➤ მისალოცი ბარათის დახატვა/შექმნა და მიწერა, ვისთვის არის გამიზნული (მაგ., „დათოს“; „დათო, გილოცავ“ და ა.შ.); ➤ მარტივი კროსვორდის შევსება; ➤ რებუსის ამოხსნა ➤ და სხვა. | |

მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები

| სტანდარტის შედეგები | I კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
|--|--|
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ენის გასატეხების, ლექსებისა და გათვლების ზეპირად წაკითხვა; სიმღერების შესრულება, მარტივი დიალოგებისა და სცენების გათამაშება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ცდილობს სწორად და გარკვევით წარმოთქვას ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ნასწავლი სიტყვები, მარტივი ფრაზები, ენის გასატეხები; ➤ ავლენს ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებს; ➤ ლექსის/სიმღერის შინაარსს ადევკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას (მიმიკა-ჟესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს); ➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციებს. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციების აღწერა, მარტივი ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თითო სიტყვით პასუხობს მარტივ შეკითხვებზე როგორც ნასწავლი თემების გარშემო, ისე კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით (მაგ., <i>რა არის, რა ჰქვია, როგორია, რამდენია და ა.შ.; დაამთავრე? - დიახ/არა; რა გინდა? - კალამი / სამლელი; მაქვს/არ მაქვს; მინდა/არ მინდა და ა.შ.</i>); ➤ კითხვების დახმარებით აღწერს სურათს, პერსონაჟს, საგანს, თანაკლასელს და სხვა (მაგ., <i>ვინ/რა არის, რა ჰქვია, როგორია, რამდენია, რა ფერია, სად არის და რას აკეთებს და ა.შ.</i>); ➤ ნასწავლი მარტივი ენობრივი ფორმულების გამოყენებით საუბრობს საკუთარი თავის შესახებ (მაგ., <i>რა ჰქვია და რამდენი წლისაა, როგორია, ვინ ჰყავს და რა აქვს, რა უყვარს და რა არ უყვარს</i>). |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) ენის გასატეხები, გათვლები და გამოცანები;</p> <p>ბ) ლექსები და სიმღერები;</p> <p>გ) რეპეტიტიული ხასიათის ზღაპრები;</p> <p>დ) მოსმენასა და კითხვაში დამუშავებული სასწავლო მიზნით შექმნილი ტექსტები;</p> <p>ე) სიმულაციური დიალოგები და საბავშვო პიესები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე დახმარების თხოვნა მასწავლებლის ან თანაკლასელისაგან; ➤ კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების (ჟესტებს, მიმიკას) გამოყენება. | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მასწავლებლის მიერ წარმოთქმული ბგერების, სიტყვების, მოკლე ფრაზების გამოვრება; | |

- ენის გასატეხების, გათვლების გამოვრება;
- მოსმენილ წინადადებაში სიტყვების გამოყოფა;
- სიტყვების ბგერებად დაშლა ან პირიქით - ბგერების სიტყვებად გაერთიანება;
- მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში წინასწარ მითითებული ბგერით დაწყებული სიტყვების დასახელება;
- ცხრილის მონაცემების მიხედვით პერსონაჟის, მეწყვილის, საგნის შესახებ ორ-სამსიტყვიანი წინადადებებით საუბარი;
- საკუთარი ნახატის / საოჯახო ფოტოს და ა.შ. პრეზენტაცია და კითხვების დახმარებით მასზე ორ-სამსიტყვიანი წინადადებებით საუბარი;
- გარეგნული ნიშნების მიხედვით დამალული ნივთის, კლასელის ამოცნობა (მაგ., *ისმენს თანაკლასელის გარეგნობას და ასახელებს, ვინ არის; ისმენს გამოცანას და მიუთითებს/ასახელებს, რა არის* და ა.შ.);
- მინიინტერვიუს მოწყობა კლასელებთან და შემდეგ ამ ინფორმაციის კლასისთვის გაცნობა (მაგ., *შოთას ჰყავს ერთი და, ლეილას და არ ჰყავს...; ზაფხული უყვარს ლიას / სერგოს უყვარს ზამთარი* და ა.შ.);
- მინიდილოგების გათამაშება
- და სხვა.

| მიმართულება: გრამატიკა | |
|---|---|
| სტანდარტის შედეგები | I კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების, შესაბამისი ენობრივი მარკერების (მაგ., დროისა და სივრცის, მოქმედებისა და ინტენსივობის გამომხატველი სიტყვების), კონკრეტული სიტყვათშეხამებების, ცალკეული ნასწავლი მარტივი დარგობრივი ლექსიკის ამოცნობა და გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საკლასო თუ სიმულაციურ სიტუაციებში მარტივი სოციალური ურთიერთობის დასამყარებლად ამოიცნობს და იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ., <i>მისალმება, დამშვიდობება, მადლობის გადახდა, მობოდიშება, დათანხმება, უარი</i>); ➤ ამოიცნობს და/ან იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმებს (მაგ., <i>გილოცავ დაბადების დღეს! კარგია/ცუდია! სწორია/არ არის სწორი!</i> და ა.შ.); ➤ აღწერა-დახასიათებისას ამოიცნობს და იყენებს გარეგნობის (<i>ფორმა, ზომა, ფერი</i>) აღმნიშვნელ მარტივ ლექსიკას; ➤ კუთვნილებითობის ან დანიშნულების გამოსახატავად ამოიცნობს და იყენებს კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს (მაგ., <i>სკოლის ჩანთა / გიორგის ჩანთა / ჩემი ჩანთა; ქართულის მასწავლებელი, ხატვის გაკვეთილი, საკლასო ოთახი</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს საკლასო ლექსიკას (მაგ., <i>სიჩუმე! ჩუმად! მომისმინე(თ)! ყურადღებით იყავი(თ)!</i> და ა.შ.). |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი სახელისა და ზმნის კონკრეტული ფორმების, შესაბამისი გრამატიკული საშუალებების, სიტყვებს შორის ნასწავლი სინტაქსური მიმართებების, მარტივი</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განარჩევს სამივე პირის ნაცვალსახელს მხოლოდით რიცხვში; |

| | |
|---|--|
| <p>ენობრივი კონსტრუქციების, შესაბამისი სასვენი ნიშნების გარჩევა და სათანადო ფუნქციით მათი გამოყენება.</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს და იყენებს I პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს მხოლოდით რიცხვში; ➤ ამოიცნობს და იყენებს ზე/ში თანდებულებს ადგილმდებარეობის გამოსახატავად; ➤ განარჩევს და იყენებს მაქვს/მყავს ფორმებს; ➤ იყენებს სახელობით ბრუნვას ნასწავლ ზმნებთან (ბიჭი/გოგო მიდის, მღერის...; აქვს ბურთი/ჩანთა...; უყვარს შოკოლადი...); ➤ იყენებს მიცემით ბრუნვას ნასწავლ ზმნებთან (ბიჭს/გოგოს აქვს; ჭამს ნაყინს...); ➤ იყენებს არის//ა ზმნას შედგენილი შემასმენლის ფუნქციით (ის არის ბიჭი // ის ბიჭია). |
|---|--|

რეკომენდაციები

- სტრატეგიები:**
- მასწავლებლის დახმარებით თვალსაჩინოების შექმნა და გამოყენება (ბარათი, ლოტო, ნახატი);
 - მასწავლებლის დახმარებით ლექსიკური მასალის სამი კრიტერიუმის მიხედვით დახარისხება, მაგ.: კარგად ვიცი, ცუდად ვიცი, არ ვიცი.

- კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:**
- ფონოლოგიური და ფონეტიკური სავარჯიშოები ქართულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებზე, ბგერის იდენტიფიცირებასა და სიტყვაში მათ პოზიციაზე - სიტყვის დასაწყისშია, შუაში თუ ბოლოში.
- მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების და ამ თანხმოვნების გამოყენებით შედგენილი სიტყვების, ენის გასატეხების გამეორება;
 - სიტყვაში, წინადადებაში, მიკროტექსტში ასოს/მარცვლის/შესაბამისი თანხმოვნებით შედგენილი სიტყვის პოვნა და შემოხაზვა / გაფერადება;
 - არასწორად დაწერილი სიტყვების გასწორება ნახატის მიხედვით (მაგ., ქუდი / კუდი; ქალი / ბალი და ა.შ.);
 - სიტყვაში გამოტოვებული ასოს ჩასმა ნახატის მიხედვით;
 - ნახატის მიხედვით სწორი ვარიანტის შემოხაზვა;
 - ჩამოთვლილი ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის პოვნა და შემოხაზვა / გაფერადება / მონიშვნა (მაგ., ჯოხი, ძოხი, ჭოხი და ა.შ.)
 - და სხვა.

I კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით:

| სამეტყველო ფუნქციები | ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები |
|---|---|
| 1.1. სოციალური ურთიერთობები | |
| მისალმება | გამარჯობა! დილა _ მშვიდობისა! |
| დამშვიდობება | ნახვამდის! კარგად! |
| მადლობის გადახდა | გმადლობ! |
| მობოდიშება | ბოდიში! |
| წარდგენა (საკუთარი თავის/სხვისი), გაცნობა | მე ვარ + (სახელი) / ეს არის + (სახელი) ; მე მქვია... / მას ჰქვია... |
| მილოცვა (დაბადების დღის, დღესასწაულის) | გილოცავ დაბადების დღეს! |
| დათანხმება, უარი | კი / არა |

| | |
|--|--|
| წახალისება, ქება-შექება | კარგია! |
| 1.2. ინფორმაციის გაცვლა | |
| პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი | რამდენი წლის ხარ? _ მე ვარ +წლის; რა გქვია შენ? _ მე მქვია + (სახელი); |
| ოჯახი / ნათესავები | ეს არის + არს. სახელი (სახ-ში)...; მე მყავს + არს. სახელი (სახ-ში) |
| საკუთრების შესახებ | მაქვს/არ მაქვს; მყავს/არ მყავს + არს. სახელი (სახ-ში); ბიჭს აქვს/ყავს + არს. სახელი (სახ-ში); ეს გიორგის წიგნია /ეს ჩემი წიგნია; |
| პროფესიის/ხელობის შესახებ | მე ვარ + ... |
| სახელდება პიროვნების / საგნის | ვინ არის ეს? _ ეს არის + არს. სახელი (სახ-ში); რა არის ეს? _ ეს არის + არს. სახელი (სახ-ში); ეს არ არის + არს. სახ. (სახ-ში), ეს არის + არს. სახ. (სახ-ში) |
| საკუთარი ან სხვისი საქმიანობის, აქტივობის შესახებ | რას ვაკეთებ? _ ვთამაშობ, ვხატავ...; ის რას აკეთებს? _ თამაშობს, ხატავს... |
| 1.3. აღწერა, დახასიათება | |
| ადამიანის გარეგნობა | როგორია? _ ... არის მაღალი //... მაღალია |
| საგნის, შენობის (სახლი, სკოლა...), ცხოველის, ფრინველის აღწერა | როგორია? _ ... არის დიდი/წითელი // ... დიდია/წითელია |
| 1.4. შეფასება, დამოკიდებულების გამოხატვა | |
| საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ნივთის, საქმიანობის, ამინდის, საჭმლის... მიმართ) | მიყვარს/არ მიყვარს + არს. სახელი (სახ-ში); |
| დადებითი, უარყოფითი შეფასება (ნივთის, საქმიანობის, საჭმლის...) | სწორია! არ არის სწორი! |
| 1.5. საჭიროების, სურვილის გამოხატვა | |
| სურვილის შესახებ | მინდა/არ მინდა + არს. სახელი (სახ-ში); |
| 1.6. გრძნობების, ემოციის გამოხატვა | |
| სიხარული | კარგია! |
| ინტერესი | რა არის ეს? |
| 1.7. სივრცეში ორიენტირება | |
| ადგილმდებარეობის მითითება (ადამიანის, ნივთის, ცხოველის, მარშრუტის...) | სად არის + ...? _ ... არის + ...-ში/-ზე |
| მიმართულების განსაზღვრა | მიდის + ...-ში |
| 1.8. ინტერაქცია საკლასო ოთახში | |
| მასწავლებლის მითითებები | ადექი(თ)! დაჯექი!/დასხედით! გადაშალე(თ) წიგნ(ებ)ი! გამოდი(თ) დაფასთან! წაშალე(თ) დაფა! სიჩუმე! ჩუმად! ითამაშე(თ)! შეხედე(თ)! მომისმინე(თ)! გავიმეოროთ ერთად! დახატე(თ)! გააფერადე(თ)... სწრაფად! ყურადღებით იყავი(თ)! მომისმინე(თ)! მიპასუხე! გაიმეორე(თ)! დავაკავშიროთ! მოვეძებნოთ! მაჩვენე(თ)! |

II კლასი (დონე)

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|---|---|
| სტანდარტის შედეგები | II კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს, გამოთქმებს, ნასწავლ ენობრივ ფორმულებსა და კონსტრუქციებს; ➤ ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს; ➤ ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (გარეგნობას - <i>ფერს, ფორმას, ზომას</i>; ადგილმდებარეობას, მოქმედებებს); ➤ ამოიცნობს პერსონაჟს, ცხოველს, საგანს მოცემული ნიშან-თვისებისა და მათი ადგილმდებარეობის მიხედვით; ➤ ამოიცნობს მარტივ მოქმედებათა თანამიმდევრობას (მაგ., <i>როდის რას აკეთებს: რვა საათზე იღვიძებს, საუზმობს და მიდის</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს პერსონაჟების ინტონაციით გამოხატულ მარტივ ემოციებს. |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მარტივი ილუსტრირებული მინიდილოგები და აღწერითი/ნარატიული ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები;</p> <p>ბ) ლექსები და სიმღერები, გამოცანები და ენის გასატეხები;</p> <p>გ) მცირე ზომის ილუსტრირებული ტექსტები (მარტივი ამბავი, ადაპტირებული რეპეტიტული ხასიათის ზღაპრები და მცირე ზომის მოთხრობები);</p> <p>დ) პრაგმატული ტექსტები (გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი და ა.შ.);</p> <p>ე) მასწავლებლის მითითებები და მარტივი ინსტრუქციები;</p> <p>ვ) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ილუსტრაციებსა და სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა მშობლიურ ენაზე ტექსტის შინაარსის გარშემო; ➤ უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ამოსაცნობად ნაცნობი ვერბალური თუ არავერბალური ელემენტების (მიმიკა-ჟესტიკულაციის, ინტონაციის, ხმის ტემბრის, ილუსტრაციის...) გამოყენება. | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რეკლიკებისა და წინადადებების დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციებთან/პერსონაჟებთან; ➤ აღწერილი პერსონაჟის (ცხოველის/საგნის) მითითება, მონიშვნა, გაფერადება, შემოხაზვა, დახატვა; ➤ მოქმედებების დაკავშირება პერსონაჟებთან; ➤ ილუსტრაციის მიხედვით მოქმედებათა ადგილის დასახელება ან სურათზე მითითება (მაგ., <i>ტყეში, ეზოში</i> და ა.შ.); ➤ შეკითხვებზე პასუხი (მაგ., <i>ასახელებს, ვისზეა საუბარი, ვინ არის და როგორია, როდის რას აკეთებს</i> და ა.შ.); ➤ ილუსტრაციების განლაგება მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით (მაგ., <i>რას აკეთებს დილით, საღამოს, რას აკეთებს რვა საათზე, ორ საათზე, საღამოს ექვს საათზე</i> და ა.შ.); ➤ წინადადებაში გამოტოვებული ადგილის შევსება; ➤ ცხრილში სათანადო უჯრის მონიშვნა; ➤ მოცემული ვარიანტებიდან სწორი ინფორმაციის მონიშვნა; ➤ მასწავლებლის თხოობის კვალდაკვალ ამბის ინსცენირება ➤ და სხვა. | |

| მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები | |
|---|---|
| სტანდარტის შედეგი: | II კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: |
| ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ კითხულობს მოსმენაში დამუშავებულ ტექსტებს და ამოიცნობს იქ მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას; ➤ იგებს ხშირად გამოყენებულ ფრაზებსა და სავარჯიშოების მარტივ ინსტრუქციებს; ➤ ავლენს წიგნსა და ტექსტზე მუშაობის ელემენტარულ ჩვევებს (მაგ., ამოიცნობს წიგნის კომპონენტებს: ყდას, ფურცელს, ილუსტრაციას, ტექსტს, სათაურს, ავტორს; გამოყოფს ტექსტში წინადადებებს, წინადადებებში სიტყვებს). |
| ქ.მ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების გამოყენებით ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ ავტომატურად და უშეცდომოდ კითხულობს ნასწავლ სიტყვებს; ➤ მთლიანი სიტყვებით კითხულობს ნაცნობ ფრაზებსა და სამოთხინადადებიან ნასწავლ ტექსტებს; ➤ ამოიცნობს და სწორად იყენებს ნასწავლ სასვენ ნიშნებს (მაგ., პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისაგან; წინადადების დასრულებას გამოხატავს სათანადო ინტონაციით). |
| რეკომენდაციები | |
| ტექსტის ტიპები: <p>ა) მცირე ზომის ილუსტრირებული ზღაპარი, ამბავი, მოთხრობა, ლექსი, ენის გასატეხი, გამოცანა და ა.შ.;</p> <p>ბ) პრაგმატული ტექსტები (გაკვეთილების ცხრილი, კატალოგი და ა.შ.);</p> <p>ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი მცირე ზომის ტექსტები (მინიდილოგები და აღწერითი ტექსტები);</p> <p>გ) სავარჯიშოთა ინსტრუქციები.</p> | |
| სტრატეგიები: <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე ვარაუდის გამოთქმა ტექსტის შინაარსის შესახებ ილუსტრაციებზე დაყრდნობით; ➤ ტექსტში აზრების რაოდენობის, აზრები - სტრიქონების, სტრიქონში - სიტყვების დათვლა და ა.შ.; ➤ სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების განსხვავება და გამოყოფა (მაგ., ლოგოს, ილუსტრაციის, ილუსტრაციის წარწერის, სავარჯიშოს პირობის, ძირითადი ტექსტის, სათაურის); ➤ ტიპოგრაფიული მინიშნებების გარჩევა (მაგ., მსხვილი, გადახრილი, გამუქებული, ფერადი შრიფტი); ➤ ტექსტის (რეპლიკის, ლექსის სტროფის) დასაწყისისა და დასასრულის გამოყოფა. | |
| კონკრეტულ აქტივობათა ნიმუშები: <ul style="list-style-type: none"> ➤ წარწერის დაკავშირება ნახატთან; ➤ ტექსტში მოძიება დასმული შეკითხვის პასუხის, ნახატის შესატყვისი წინადადების, ერთი სემანტიკური ველის სიტყვების (მაგ., <i>ცხოველები, სასკოლო ნივთები</i> და ა.შ.); ➤ სავარაუდო პასუხებიდან სწორი ვარიანტის შემოხაზვა; ➤ ცხრილიდან კონკრეტული ინფორმაციის ამოკრება (მაგ., <i>რომელ დღეებში აქვს ესა თუ ის გაკვეთილი; რომელ საათზე აქვს ხატვა ორშაბათს</i> და ა.შ.); ➤ ტექსტის მიხედვით ნახატის შექმნა/გაფერადება ან დასრულება; ➤ ცხრილში სათანადო უჯრის მონიშვნა; ➤ სხვადასხვა პარამეტრით კონკურსის მოწყობა ხმამაღალ (გაწაფულ) კითხვაში (მაგ., ყველაზე სწრაფი მკითხველი, ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ.); | |

- რეპლიკების, ლექსების გაბმულად და გამომეტყველებით წაკითხვა
- და სხვა.

| მიმართულება კომუნიკაცია: წერა | |
|--|--|
| სტანდარტის შედეგები | II კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოდელის მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის წერა ნასწავლი თემატიკის გარშემო.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იცავს ორხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების პრინციპს; ➤ ნაწერიდან ან ნაბეჭდი წყაროდან გადაწერს სიტყვებს, წინადადებებს, მარტივ მცირე ზომის ტექსტებს; ➤ კარნახით წერს ორთოგრაფიულად დამახსოვრებულ სიტყვებს; ➤ კონკრეტული მითითების მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით წერს მარტივ ყოფით მიკროტექსტებს; ➤ სათანადოდ იყენებს (სწორად სვამს) სასველ ნიშნებს წინადადებების ბოლოს. |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) პრაგმატული ტექსტები (გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი, ტელეპროგრამა...);</p> <p>ბ) მარტივი კორესპონდენცია (მისალოცი ბარათი...);</p> <p>გ) მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები;</p> <p>დ) კროსვორდები და რებუსები.</p> | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კროსვორდების, საკუთარი გაკვეთილების ცხრილის, ნაკლული ტექსტის შევსება კონკრეტული ინფორმაციით; ➤ სხვადასხვა მონაცემის მიხედვით მარტივი სიების შედგენა (მაგ., <i>თანაკლასელების სახელები ანბანის მიხედვით; შინაური ცხოველები; საყვარელი საჭმელი</i> და ა.შ.); ➤ წინადადების დასრულება ნახატის მიხედვით (მაგ., <i>ნიკას უყვარს...</i>); ➤ ყალიბის მიხედვით მისალოცი ბარათების შედგენა და გაფორმება ნახატებით; ➤ მარტივი სქემატური ნახატების შექმნა სხვადასხვა თემაზე თავისი წარწერებით (მაგ., <i>ჩემი ოჯახი, ჩემი ოთახი, ჩემი სკოლა</i> და ა.შ.); ➤ ფოტოალბომებისა და „წიგნების“ შექმნა შესაბამისი წარწერებით (მაგ., <i>ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები, საყვარელი ცხოველები</i> და ა.შ.) ➤ და სხვა. | |

| მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები | |
|--|---|
| სტანდარტის შედეგები | II კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ენის გასატეხების, ლექსებისა და გათვლების ზეპირად წაკითხვა; სიმღერების შესრულება, მარტივი დიალოგებისა და სცენების გათამაშება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ავლენს ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებს; ➤ სწორად და გარკვევით წარმოთქვამს ქართული ენისათვის დამახასიათებელ ბგერებს, ნაცნობ სიტყვებსა და ფრაზებს, ენის გასატეხებს; ➤ ტექსტების შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას; |

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციებს, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს, ბამავს პერსონაჟების ხმის ტემბრს. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციების აღწერა, მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოკლედ პასუხობს / სვამს მარტივ კითხვებს ნასწავლი თემების გარშემო; ➤ პასუხობს ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ მარტივ კითხვებზე; ➤ კითხულობს და ასახელებს მარტივ მიზეზს (რატომ? - იმიტომ, რომ...); ➤ მოკლედ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, მაგალითად, ნივთის, საჭმლის და ა.შ. მიმართ (მომწონს/არ მომწონს); ➤ კითხვების დახმარებით აღწერს სურათს; ➤ ნაცნობი ლექსიკის, ენობრივი ფორმულებისა და კონსტრუქციების გამოყენებით მარტივად (და/ან მასწავლებლის დახმარებით) საუბრობს ნასწავლი თემების გარშემო. |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) ენის გასატეხები, გათვლები და გამოცანები;</p> <p>ბ) ლექსები და სიმღერები;</p> <p>გ) სიმულაციური დიალოგები და საბავშვო პიესები, მინიინტერვიუები;</p> <p>დ) მცირე ზომის მარტივი აღწერითი და თხრობითი ხასიათის ტექსტები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე დახმარების თხოვნა მასწავლებლის ან თანაკლასელისაგან; ➤ კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების (ჟესტების, მიმიკის) გამოყენება. | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიტყვების ბგერებად თუ მარცვლებად დაშლა ან პირიქით - ბგერებისა თუ მარცვლების სიტყვებად გაერთიანება; ➤ ილუსტრაციების / ფოტოების აღწერა (მაგ., <i>ვინ / რა არის, როგორია, ვინ სად არის; სად რა დევს; ვის რა აცვია/ახურავს/უკეთია; ვინ როდის/რომელ საათზე რას აკეთებს; რას აკეთებენ ცხოველები, ფრინველები</i> და ა.შ.); ➤ ორი ილუსტრაციის შედარება და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დასახელება; ➤ საუბარი ნასწავლი თემების გარშემო (მაგ., <i>ოჯახის წევრების, მეგობრების, თანაკლასელების შესახებ: ვინ არის, რა ჰქვია, რამდენი წლისაა, როგორია, ვის როდის აქვს დაბადების დღე</i> და ა.შ.; საყვარელი ცხოველები; ჩემი ოთახი და ა.შ.); ➤ ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით ნასწავლი მარტივი ენობრივი კონსტრუქციებით საუბარი; ➤ მოსმენილი და/ან წაკითხული დიალოგის მიხედვით მსგავსი დიალოგების გათამაშება მეწყვილესთან ერთად; ➤ სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა (მაგ., <i>მინიინტერვიუების მოწყობა, გამოკითხვების ჩატარება კლასში კონკრეტულ თემაზე</i> და ა.შ.); ➤ ვიქტორინების მოწყობა ნასწავლი მასალის გარშემო; ➤ სახალისო თამაშები (მაგ., <i>გამოიცანი, ვინ/რა არის; რა მაქვს ჩანთაში?</i> და ა.შ.); ➤ სხვადასხვა თემაზე ნახატების შექმნა და კლასის წინაშე მინიპრეზენტაციების მოწყობა (მაგ., <i>ჩემი ოჯახი, ჩემი ოთახი, საყვარელი მენიუ, ჩემი საყვარელი დღე; ერთი კვირის ამინდის პროგნოზის შედგენა და წარდგენა</i> და ა.შ.); ➤ როლური თამაშებისა და მინისპექტაკლების მოწყობა ➤ და სხვა. | |

| მიმართულება: გრამატიკა | |
|---|---|
| სტანდარტის შედეგები | II კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების, შესაბამისი ენობრივი მარკერების (მაგ., დროისა და სივრცის, მოქმედებისა და ინტენსივობის გამომხატველი სიტყვების), კონკრეტული სიტყვათშეხამებების, ცალკეული ნასწავლი მარტივი დარგობრივი ლექსიკის ამოცნობა და გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საკლასო თუ სიმულაციურ სიტუაციებში მარტივი სოციალური ურთიერთობის დასამყარებლად ამოიცნობს და იყენებს სათანადო ლექსიკას ან კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს (მაგ., <i>სალამი / დილა მშვიდობისა! სალამო მშვიდობისა! კარგად იყავი!</i> და ა.შ.) ➤ ამოიცნობს და/ან იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს (მაგ., <i>გილოცავ დაბადების დღეს! ყოჩაღ! რა კარგია / რა ცუდია! მოდი, ... / გინდა, ...</i> და ა.შ.); ➤ აღწერა-დახასიათებისას ამოიცნობს და იყენებს გარეგნობისა და ხასიათის / თვისების აღმნიშვნელ მარტივ ლექსიკასა და ნასწავლ ენობრივ ფორმულებს (მაგ., <i>დათვზე პატარა, კურდღელზე დიდია</i> და ა.შ.); ➤ მარტივი ინფორმაციის გასაცვლელად ამოიცნობს და იყენებს შესაბამის ლექსიკას ოჯახის / ნათესავების, საქმიანობის, კვებითი ჩვევების და ა.შ. შესახებ; ➤ ამოიცნობს და იყენებს დროისა და სივრცის გამომხატველ სიტყვებსა და სიტყვათშეხამებებს (მაგ., <i>დილით, შუადღისას, საღამოს; დღეს დილით; აქ/იქ; მარჯვნივ/მარცხნივ; წინ/უკან</i> და ა.შ.). |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი სახელისა და ზმნის კონკრეტული ფორმების, შესაბამისი გრამატიკული საშუალებების, სიტყვებს შორის ნასწავლი სინტაქსური მიმართებების, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, შესაბამისი სასვენი ნიშნების გარჩევა და სათანადო ფუნქციით მათი გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <p><u>ამოიცნობს და იყენებს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არსებითი სახელების მხოლობითისა და -ებ-იანი მრავლობითის ფორმებს (<i>ბიჭი/ბიჭები...</i>); ➤ სამივე პირის ნაცვალსახელს მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში; ➤ I და II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელებს მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში; ➤ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას კუთვნილებითობის გამოსახატავად (<i>დათოს ჩანთა / ძმის ბურთი</i>); ➤ მიცემითი ბრუნვის ფორმას დროის გამოხატვის ფუნქციით (<i>ორშაბათს, კვირას...</i>); ➤ -ში/-ზე თანდებულებს დროის გამოხატვის ფუნქციით (<i>ივნისში, ზაფხულში, გაზაფხულზე...</i>); ➤ ყოფნა ზმნას სამივე დროში (<i>არის - იყო - იქნება</i>). <p><u>იყენებს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნასწავლი სახელების შეკუმშულ და შეკვეცილ ფორმებს კუთვნილებითობის გამოხატვისას (<i>მასწავლებლის მაგიდა, ძმის ჩანთა</i>); ➤ არა/არ ნაწილაკებს (<i>გინდა? - არა; არ მინდა; გიყვარს? - არა; არ მიყვარს</i>). <p>პასუხისას სწორად სვამს:</p> |

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ➤ სახელს ბრუნვაში კითხვებზე დაყრდნობით (ვინ თამაშობს? – ბიჭი; ვის აქვს? – ბიჭს; რა აქვს? – ბურთი; რას თამაშობს? – ბურთს); |
| რეკომენდაციები | |
| სტრატეგიები: | |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ მასწავლებლის დახმარებით გრამატიკული მარტივი მექანიზმების ამსახველი თვალსაჩინოების შექმნა და გამოყენება; ➤ მასწავლებლის დახმარებით ლექსიკური მასალის დახარისხება სამი კრიტერიუმის მიხედვით, მაგ.: კარგად ვიცი, ცუდად ვიცი, არ ვიცი. | |
| კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები: | |
| <p>საჭიროებისამებრ, კვლავ გრძელდება <u>ფონოლოგიური და ფონეტიკური სავარჯიშოები</u> ქართულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებზე, ბგერის იდენტიფიცირებასა და სიტყვაში მათ პოზიციაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების გამოყენებით შედგენილი სიტყვების, ენის გასატეხების გამოვლენა; ➤ არასწორად დაწერილი სიტყვების გასწორება ნახატის მიხედვით; ➤ წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის (როგორც სალექსიკონო ერთეულის) და/ან მოცემული სიტყვის სათანადო ფორმაში (მაგ., მხოლოდითსა თუ მრავლობითში) ჩასმა ნახატის მიხედვით; ➤ მოცემული სიტყვების სხვადასხვა კატეგორიად დახარისხება (მაგ., <i>სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ დროს, ადგილს, მოქმედებას, ნიშან-თვისებას; სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან სულიერება/უსულოების მიხედვით, ასევე მექვს თუ მყავს; ერთი სემანტიკის მქონე სიტყვები</i> და ა.შ.); ➤ ნახატის მიხედვით სწორი ვარიანტის შემოხაზვა; ➤ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან სწორი ფორმის პოვნა და შემოხაზვა / მონიშვნა; ➤ მცდარი ფორმის გასწორება ➤ და სხვა. | |

II კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით:

| სამეტყველო ფუნქციები | ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები |
|--|--|
| 1.1. სოციალური ურთიერთობები | |
| მისალმება | გამარჯობა(თ)! დილა _ მშვიდობისა! საღამო მშვიდობისა! საღამო! |
| მოკითხვა | როგორ ხარ? კარგად / ცუდად |
| დამშვიდობება | ნახვამდის! კარგად იყავი! |
| მადლობის გადახდა | გმადლობ! |
| მობოდიშება | ბოდიში! |
| წარდგენა (საკუთარი თავის/სხვისი), გაცნობა | მე ვარ + (სახელი) / ეს არის + (სახელი); მე მქვია... / მას ჰქვია... |
| მილოცვა (დაბადების დღის, დღესასწაულის) | გილოცავ დაბადების დღეს! |
| დათანხმება, უარი | დიახ / არა |
| წახალისება, ქება-შექება | ყოჩაღ! / კარგია! |
| შეთავაზება | მოდი . . . / გინდა. . . |
| 1.2. ინფორმაციის გაცვლა | |
| პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი | რამდენი წლის ხარ? _ მე ვარ +წლის; რა გქვია შენ? _ მე მქვია + (სახელი); |
| ოჯახი / ნათესავები | ეს არის + არს. სახელი (სახ-ში) ... ; მე მყავს + არს. სახელი (სახ-ში) |

| | |
|---|---|
| საკუთრების შესახებ | მაქვს/არ მაქვს; მყავს/არ მყავს + არს. სახ. (სახ-ში); ბიჭს აქვს/ჰყავს + არს. სახ. (სახ-ში); ეს გიორგის წიგნია; ეს ჩემი/შენი/მისი წიგნია; ჩვენი ბურთია. |
| პროფესიის/ხელობის შესახებ | მე ვარ + ... |
| სახელდება პიროვნების / საგნის | ვინ არის ეს? _ ეს არის + არს. სახ. (სახ-ში); რა არის ეს? _ ეს არის + არს. სახ. (სახ-ში); ეს არ არის + არს. სახელი (სახ-ში), ეს არის + არს. სახელი (სახ-ში) |
| ჯანმრთელობის შესახებ | როგორ ხარ? _ ცუდად/ავად ვარ; კარგად ვარ |
| საკუთარი ან სხვისი საქმიანობის, აქტივობის შესახებ | რას ვაკეთებ? _ ვსწავლობ, ვუსმენ, ვიბან... ის რას აკეთებს? _ წერს, კითხულობს, ზის... / ისინი სწავლობენ, დახტან... |
| კვებითი ჩვევების შესახებ | ვსვამ/ვჭამ + ... საათზე; ვსვამ/ვჭამ + არს. სახელი (მიც-ში) |
| 1.3. აღწერა, დახასიათება | |
| ადამიანის გარეგნობა | როგორია? _ ... არის მსუქანი //... მსუქანია... მაქვს/აქვს + გრძელი თმა... |
| ადამიანის ჩაცმულობა | მაცვია/აცვია + ... / ახურავს, უკეთია... |
| ადამიანის ხასიათი | როგორი ადამიანია? _ ... არის კეთილი, მხიარული //... კეთილია, მხიარულია... |
| საგნის, შენობის (სახლი, სკოლა...), ცხოველის, ფრინველის აღწერა | როგორია? _ ... არის დიდი/წითელი // ... დიდა/წითელია; აქვს გრძელი კუდი. დახტის ხეზე. უყვარს ბანანი...; ...-ზე დიდი / ...-ზე პატარა |
| 1.4. შეფასება, დამოკიდებულების გამოხატვა | |
| საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ნივთის, საქმიანობის, ამინდის, საჭმლის... მიმართ) | მომწონს/არ მომწონს + არს. სახ. (სახ-ში); მიყვარს/არ მიყვარს + არს. სახ. (სახ-ში); მომწონს/არ მომწონს + საწყისი; მიყვარს/არ მიყვარს + საწყისი |
| დადებითი, უარყოფითი შეფასება (ნივთის, საქმიანობის, საჭმლის...) | სწორია! არ არის სწორი! როგორია? _ კარგია/ცუდია... |
| 1.5. საჭიროების, სურვილის გამოხატვა | |
| სურვილის შესახებ | მინდა/არ მინდა + არს. სახელი (სახ-ში); მინდა/არ მინდა + საწყისი |
| 1.6. გრძნობების, ემოციის გამოხატვა | |
| სიხარული | კარგია! რა კარგია! |
| სინანული | ცუდია! რა ცუდია! |
| ინტერესი | რა არის ეს? |
| 1.7. დროში ორიენტირება | |
| მითითება საათის/დღის/კვირის/თვის/წლის | როდის? -- დილით, შუადღისას, საღამოს; რომელი საათია? ცხრა საათია; რომელ საათზე რას აკეთებს? - (მხოლოდითში/მრავლობითში); დღეს ორშაბათია... / ორშაბათს... აპრილში... გაზაფხულზე, ზამთარში... |
| 1.8. სივრცეში ორიენტირება | |

| | |
|---|---|
| ადგილმდებარეობის მითითება (ადამიანის, ნივთის, ცხოველის, მარშრუტის...) | სად არის + ...? _ ... არის + ...-ში/-ზე; აქ / იქ; მარჯვნივ / მარცხნივ; წინ / უკან; ქვევით / ზევით ...-ის წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ... |
| მიმართულების განსაზღვრა | მიდის + ...-ში |
| 1.9. ლოგიკური კავშირის გამოხატვა | |
| მიზეზი | რატომ? _ იმიტომ, რომ |
| 1.10. ინტერაქცია საკლასო ოთახში | |
| მასწავლებლის მითითებები | <p>ადექი(თ)! დაჯექი!/დასხედით! გადაშალე(თ) წიგნ(ებ)ი! გამოდი(თ) დაფასთან! წაშალე(თ) დაფა! სიჩუმე! ჩუმად! ითამაშე(თ)! შეხედე(თ)! მომისმინე(თ)! გავიმეოროთ ერთად! დახატე(თ)! გააფერადე(თ)...</p> <p>სწრაფად! ყურადღებით იყავი(თ)! მომისმინე(თ)! მიპასუხე! გაიმეორე(თ)! დავაკავშიროთ! მოვძებნოთ! მაჩვენე(თ)!</p> |

III კლასი (დონე)

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | III კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება. | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს სასაუბრო თემასა და კონტექსტს; ➤ ამოიცნობს კონკრეტულ დეტალებს (<i>ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას; ➤ ამოიცნობს ადამიანის, საგნის, მოვლენისადმი მარტივ შეფასება-დამოკიდებულებას (<i>მაგ., კარგია / ცუდია; ტირის იმიტომ, რომ</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს ინტონაციით გამოხატულ ემოციებსა და შეგრძნებებს. |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) ლექსები, სიმღერები, გამოცანები...;</p> <p>ბ) სასწავლო მიზნით შექმნილი მცირე ზომის დიალოგები და აღწერითი ხასიათის ტექსტები;</p> <p>გ) მცირე ზომის თხრობითი ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები (ადაპტირებული ზღაპარი, მოთხრობა, ამბავი);</p> <p>დ) მასწავლებლის მითითებები და სავარჯიშოს მარტივი ინსტრუქციები;</p> <p>ე) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა; ქართული ანიმაციური ფილმები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე ვარაუდის გამოთქმა ტექსტის შინაარსის შესახებ ილუსტრაციებსა და სათაურზე დაყრდნობით; ➤ უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ამოსაცნობად ნაცნობი ვერბალური თუ არავერბალური ელემენტების გამოყენება (მიმიკა/ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია...). | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოსასმენი ამოცანების შესაბამისად, ცხრილში სათანადო უჯრის მონიშვნა/შევესება, ნაკლული ტექსტის შევესება; ➤ მოცემული ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის შემოხაზვა; ➤ მოსასმენი ტექსტის გარშემო კითხვებზე პასუხი (<i>მაგ., ვის რა მოსწონს, რა ურჩევნია, რატომ ტირის, რატომ არ მოსწონს, რისი ეშინია</i> და ა.შ.); ➤ ტექსტის / ინფორმაციის ნახატთან დაკავშირება (<i>მაგ., ასახელებს ან მიუთითებს ნახატზე აღწერილ პერსონაჟს, ცხოველს, საგანს; ვინ/რა სად ან ვის/რის გვერდით დგას</i> და ა.შ.); ➤ ტექსტის მიხედვით ნახატის შექმნა; ➤ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით სურათების განლაგება/დანომრვა; ➤ ინტონაციის მიხედვით სასვენი ნიშნების დასმა; ➤ მასწავლებლის თხრობის კვალდაკვალ ამბის ინსცენირება | |

| | |
|--|---|
| ➤ და სხვა. | |
| მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები | |
| სტანდარტის შედეგი: | III კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მარტივი საკითხავი ამოცანის გადასაჭრელად ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას მოსმენაში დამუშავებულ ტექსტებში; ➤ ინფორმაციას აკავშირებს შესაბამის ილუსტრაციასთან, პერსონაჟთან; ➤ განარჩევს დიალოგსა და თხრობას; ➤ ავლენს წიგნსა და ტექსტზე მუშაობის საწყისს ჩვევებს (მაგ., საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად ეყრდნობა სიტყვიერ და არასიტყვიერ ნაწილებს - სავარჯიშოს პირობას, ლოგოს, ილუსტრაციას, ილუსტრაციის წარწერას, სათაურს, ქვესათაურს); ➤ ავლენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების გამოყენებით ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა.</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებსა და ფრაზებს; ➤ შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყოფით გამართულად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტებს; ➤ ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას. |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) მცირე ზომის ილუსტრირებული ზღაპარი, ლექსი, მოთხრობა, ამბავი;</p> <p>ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი მცირე ზომის ტექსტები (მინიდილოგები, თხრობითი და აღწერითი ტექსტები);</p> <p>გ) სავარჯიშოების ინსტრუქციები;</p> <p>დ) პრაგმატული ტექსტები (ანკეტები, კატალოგები, ტელეპროგრამა, მენიუ...).</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ილუსტრაციებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო მშობლიურ ენაზე; ➤ შინაარსის გასაგებად არასიტყვიერი ელემენტების მოშველიება (მაგ., ლოგოს, ილუსტრაციის, პირობითი ნიშნის); ➤ ტიპოგრაფიული მინიშნებების გარჩევა (მაგ., მსხვილი, გადახრილი, გამუქებული, ფერადი შრიფტი); ➤ ტექსტის (რეპლიკის, ლექსის სტროფის), აბზაცის, წინადადების დასაწყისისა და დასასრულის გამოყოფა. | |
| <p>კონკრეტულ აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დასმული შეკითხვის პასუხის, ნახატის შესატყვისი წინადადების პოვნა ტექსტში; ➤ მთლიანი ტექსტის (დიალოგის, აბზაცის...) ან ცალკეული ინფორმაციის დაკავშირება სურათთან; ➤ ტექსტში მოძიებული ინფორმაციით მარტივი სქემებისა და ცხრილების შევსება; ➤ შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; ➤ არეული რეპლიკების თანამიმდევრობით დალაგება; ➤ სავარაუდო ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ვარიანტის შემოხაზვა, მონიშვნა, მითითება; ➤ მოცემული ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა ტექსტის მიხედვით; ➤ ტექსტის მიხედვით სურათების დანომრვა; ➤ მოცემული კულტურული თვალსაჩინოებების მითითება / დასახელება (ილუსტრაციებზე ასახული ზღაპრის გმირები, ტანსაცმელი, ნუგბარი - ჩურჩხელა, გოზინაყი და ა.შ.); ➤ კონკრეტული კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნა და დასახელება (დღესასწაულები, საკუთარი სახელები, ბგერები) <p>➤ და სხვა.</p> | |

| | |
|--|---|
| მიმართულება კომუნიკაცია: წერა | |
| სტანდარტის შედეგები | III კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოდელის მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის წერა ნასწავლი თემატიკის გარშემო. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ კარნახით წერს წინადადებებსა და მიკროტექსტებს; ➤ კონკრეტული მითითების მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით წერს მარტივ კორესპონდენციასა და პრაგმატულ ტექსტებს; ➤ სათანადოდ იყენებს (სწორად სვამს) სასვენ ნიშნებს წინადადებების ბოლოს. |
| რეკომენდაციები | |
| ტექსტის ტიპები: <p>ა) პრაგმატული ტექსტები (ანკეტა, გაკვეთილების ცხრილი, ტელეპროგრამა...);</p> <p>ბ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი);</p> <p>გ) აღწერითი ტექსტები;</p> <p>დ) სხვადასხვა ტიპის კროსვორდი.</p> | |
| კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები: <ul style="list-style-type: none"> ➤ პირადი ან ცხრილის მონაცემებით ანკეტის შევსება (<i>სახელი, გვარი, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა</i> და ა.შ.); ➤ ანკეტის მიხედვით მარტივი ინფორმაციული ტექსტის შექმნა; ➤ კონკრეტული ინფორმაციით ნაკლული ტექსტის შევსება (<i>მაგ., ცხრილის მიხედვით წინადადებების შევსება; მოცემული რეპლიკებით დიალოგის / ნარატიული ტექსტის შევსება; სქემის მიხედვით მარტივი შემეცნებითი ტექსტის შევსება</i> და ა.შ.); ➤ მოცემული რეპლიკებით (ან მის გარეშე) კონტექსტის მიხედვით დიალოგის შევსება; ➤ ნახატის მიხედვით წინადადებების დაწერა, ტექსტის შინაარსის დასრულება; ➤ მოდელის / სქემის მიხედვით ნაცნობ თემებზე მიკროტექსტების დაწერა (<i>მაგ., საკუთარი სკოლის, ოჯახის, ნათესავების შესახებ</i> და ა.შ.); ➤ მოდელის მიხედვით ადამიანის, ცხოველის ან საგნის აღწერა; ➤ ნასწავლი თემების გარშემო მინიპროექტების განხორციელება (<i>მაგ., კლასელების დღიურის შექმნა: ვინაობა; საყვარელი საგანი, თვე და რიცხვი; საყვარელი, ფერი, ცხოველი, ხილი...; ინტერესები და საქმიანობა</i> და ა.შ.) ➤ და სხვა. | |

| მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | III კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ენის გასატეხების, ლექსებისა და გათვლების ზეპირად წაკითხვა; სიმღერების შესრულება, მარტივი დიალოგებისა და სცენების გათამაშება. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებსა და ფრაზებს; ➤ ტექსტების შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას; ➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციებს, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს, ზამავს პერსონაჟების ხმის ტემბრს. |
| ქ.მ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციების აღწერა, მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს საკლასო ან სიმულაციურ სიტუაციებში, ნაცნობი თემების გარშემო; ➤ გამოხატავს თხოვნას კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით (მაგ., <i>შეიძლება გავიდე? შეიძლება, ეს ავიღო? და ა.შ.</i>); ➤ პასუხობს ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ მარტივ კითხვებზე; ➤ მარტივი ენით აღწერს სურათს, საუბრობს საკუთარი თუ სხვისი ინტერესების /სურვილების / შეფასებების შესახებ (<i>რა მოსწონს / რა აინტერესებს / რა უნდა</i>); ➤ იხსენებს თავს გადაამხდარ მარტივ ამბებს. |
| რეკომენდაციები | |
| ტექსტის ტიპები: <p>ა) ლექსები და სიმღერები; საბავშვო პიესები;</p> <p>ბ) სიმულაციური დიალოგები (მინიინტერვიუები);</p> <p>ბ) პოსტერები და ილუსტრაციები, საოჯახო ფოტოები;</p> <p>გ) მარტივი აღწერითი და თხრობითი ხასიათის ტექსტები.</p> | |
| სტრატეგიები: <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე დახმარების თხოვნა მასწავლებლის ან თანაკლასელისაგან; ➤ კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების (ჟესტების, მიმიკის) გამოყენება. | |
| კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები: <ul style="list-style-type: none"> ➤ მინიინტერვიუების მოწყობა თანაკლასელებთან სხვადასხვა თემაზე; ➤ ფოტოებსა და ილუსტრაციებზე, ანკეტებსა და კითხვარებზე დაყრდნობით საუბარი; ➤ მხიარული ვიქტორინის მოწყობა კლასში ნასწავლი თემების გარშემო; ➤ სიმულაციური სიტუაციების გათამაშება მეწყვილესთან ერთად ან მცირე ჯგუფებში (მაგ., <i>სტუმრად მეგობართან, შეხვედრა ქუჩაში, საყიდლებზე წასვლა და ა.შ.</i>); ➤ ილუსტრაციების აღწერა; ➤ ილუსტრაციების შედარებითი აღწერა და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დასახელება; ➤ ილუსტრაციების გამოყენებით ნასწავლი თხრობითი ტექსტების გადმოცემა ➤ და სხვა. | |

| მიმართულება: გრამატიკა | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | III კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების, შესაბამისი | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ საკლასო თუ სიმულაციურ სიტუაციებში მარტივი სოციალური ურთიერთობის დასამყარებლად ამოიცნობს და იყენებს სათანადო ლექსიკას ან კონკრეტულ |

| | |
|--|---|
| <p>ენობრივი მარკერების (მაგ., დროისა და სივრცის, მოქმედებისა და ინტენსივობის გამომხატველი სიტყვების), კონკრეტული სიტყვათშეხამებების, ცალკეული ნასწავლი მარტივი დარგობრივი ლექსიკის ამოცნობა და გამოყენება.</p> | <p>სიტყვათშეხამებებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს (მაგ., როგორ ხარ? როგორ ბრძანდებით? კარგად იყავი! კარგად ბრძანდებოდეთ! და ა.შ.);</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს და/ან იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს (მაგ., გისურვებ(თ) ჯანმრთელობას...! გაიცანით, ეს...; თუ შეიძლება, სთხოვეთ! და ა.შ.); ➤ მარტივი ინფორმაციის გასაცვლელად ამოიცნობს და იყენებს შესაბამის ლექსიკას პირადი მონაცემების, ეროვნებისა და წარმომავლობის, პროფესიისა და საქმიანობის და ა.შ. შესახებ; ➤ პიროვნების, საგნის, მოვლენის დახასიათებისას იყენებს სათანადო ენობრივ საშუალებებსა და კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს (მაგ., ...-ზე დიდი, უფრო დიდი, ყველაზე დიდი; ულვაშიანი... და ა.შ.); ➤ ამოიცნობს და იყენებს დროისა და ადგილის ზმნიზედებს; სათანადო ლექსიკით გამოხატავს ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას; ➤ მარტივი მიზეზის გამოსახატავად იყენებს იმიტომ, რომ კავშირს (მომწონს იმიტომ, რომ ლამაზია); |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი სახელისა და ზმნის კონკრეტული ფორმების, შესაბამისი გრამატიკული საშუალებების, სიტყვებ შორის ნასწავლი სინტაქსური მიმართებების, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, შესაბამისი სასვენი ნიშნების გარჩევა და სათანადო ფუნქციით მათი გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე: განარჩევს და იყენებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ I, II და III პირის კუთვნილებით ნაცვალსახელებს მხოლოდით რიცხვში; ➤ ჩვენებით ნაცვალსახელებს (ეს/ის); ➤ ნათესაობით ბრუნვას სხვადასხვა ფუნქციით (კუთვნილებითობის, დანიშნულების გამოსახატავად: ძმის ბურთი, სკოლის ჩანთა, ქართულის გაკვეთილი...); ➤ მოქმედებით ბრუნვას სხვადასხვა ფუნქციით (დროში ორიენტაციის გამოსახატავად: დილით, ღამით... ინსტრუმენტალისის ფუნქციით: მიდის ფეხით / ავტობუსით, თამაშობს ბურთით, წერს კალმით და ა.შ.); ➤ მოთხრობით ბრუნვას ნასწავლ ზმნებთან ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებში; ➤ ნასწავლი ზმნების ახლანდელი (აწმყო) და წარსული (წყვეტილი) დროის ფორმებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებში; ➤ კითხვით სიტყვებს (ვის აქვს/უყვარს/მოსწონს...? ვინ აკეთებს/გააკეთა? რას აკეთებს? რა გააკეთა?). |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თვალსაჩინო მაგალითებზე დაკვირვებით მარტივი ენობრივი მექანიზმების ამოცნობა (მაგ., სურათის დახმარებით ამოიცნობს -ზე/-ში თანდებულებს შორის სხვაობას: წიგნი დევს ჩანთაზე/ჩანთაში); ➤ მასწავლებლის დახმარებით მარტივი მექანიზმების შემცველი გრამატიკული თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება; ➤ ლექსიკური მასალის დახარისხება სამი კრიტერიუმის მიხედვით, მაგ.: კარგად ვიცი, ცუდად ვიცი, არ ვიცი; ➤ განვლილი ლექსიკური მასალის გამეორება. | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოცემული ვარიანტებიდან ორთოგრაფიულად სწორად დაწერილი სიტყვის პოვნა და შემოხაზვა / მონიშვნა; | |

- ორთოგრაფიულად ან გრამატიკულად არასწორად დაწერილი სიტყვების გასწორება (მაგ., დაქსი (ტაქსი); ბიჭი აქვს (ბიჭს) და ა.შ.);
- ლექსიკური შეცდომის პოვნა და გასწორება;
- ერთი სემანტიკური ველის მქონე სიტყვათა ჩამონათვალში საერთო ძირის პოვნა და შემოხაზვა;
- სიტყვათა სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება (მაგ., გრამატიკული ნიშნით: მოქმედების სახელები, ნიშნ-თვისების აღმნიშვნელი სახელები...; ლექსიკური ნიშნით: სიტყვები დედისა და მამის ნათესავების მიხედვით; ქალები და კაცები; ხმელეთის / წყლის ცხოველები; საერთო ძირის მქონე სიტყვები და ა.შ.);
- კონტექსტის მიხედვით ფორმათა შერჩევა და ჩასმა (მაგ., თბილისში / თბილისელი: არის..., ცხოვრობს...; კუდი / კუდიანი: ... აქვს, არის... და ა.შ.);
- ნიმუშის მიხედვით ფორმათა წარმოება (მაგ., ბოლნისი / ბოლნისელი...);
- ნიმუშის მიხედვით მარტივი წინადადებების შედგენა;
- სხვადასხვა ნიშნით სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირება (მაგ., ასოციაციური კავშირები - ფეხბურთი - მეკარე // ავთიაქი - წამალი ...; სიტყვათშეხამებები - ფეხბურთის თამაში // ბურთის სროლა ...; სინონიმები და ანტონიმები და ა.შ.)
- და სხვა.

| მიმართულება: სწავლის სწავლა | |
|--|---|
| სტანდარტის შედეგები | III კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვის საწყისი უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ასრულებს მასწავლებლის მიერ მინიჭებულ ფუნქციას; ➤ მონაწილეობს შეფასების პროცესში (ცდილობს თვითშეფასების მარტივი სქემების შევსებას); ➤ იწერს დავალებებს (მშობლიურ ენაზე); ➤ ახერხებს ყურადღების კონცენტრირებას; ➤ ცდილობს, დაიცვას დროის ლიმიტი ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს კონსტრუქციული დამოკიდებულების გამოვლენა და სხვებთან თანამშრომლობა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სხვებს აცდის პასუხის დასრულებას; ➤ უსმენს თანაკლასელებს, მასწავლებელს; ➤ თანატოლს ეხმარება იმ საკითხებში, რომლებშიც თავად არის ძლიერი; ➤ ცდილობს, მეწყვილესთან ან გუნდის წევრებთან ერთად გადაჭრას დასმული ამოცანა; ➤ არ დასცინის / არ ამცირებს თანაკლასელებს. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების მოძიება და გააზრებულად გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მასწავლებლის, მშობლის და ა.შ. დახმარებით მოიძიებს სათანადო რესურსებს; ➤ მასწავლებლის დახმარებით გუნდის წევრებთან ერთად შეარჩევს და დაამუშავებს მოძიებულ მასალას; ➤ იყენებს სახელმძღვანელოს ილუსტრაციებს, საკლასო ოთახში არსებულ თვალსაჩინოებებს. |

III კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით:

| სამეტყველო ფუნქციები | ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები |
|--|---|
| 1.1. სოციალური ურთიერთობები | |
| მისალმება | გამარჯობა! |
| მოკითხვა | როგორ ბრძანდებით? |
| დამშვიდობება | კარგად ბრძანდებოდეთ! დამე მშვიდობისა! |
| წარდგენა (საკუთარი თავის/სხვისი), გაცნობა | გაიცანით, ეს არის ... / ...-ა |
| მილოცვა (დაბადების დღის, დღესასწაულის) | გისურვებ(თ) ჯანმრთელობას, ბედნიერებას... |
| დათანხმება, უარი | კი, კარგი |
| წახალისება | ძალიან კარგია! |
| ტელეფონით საუბარი | ვინ გნებავთ? _ თუ შეიძლება, ...-ს სთხოვეთ! |
| 1.2. ინფორმაციის გაცვლა | |
| პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი | რამდენი წლის არის/წლისაა ... /შენი ...? _ ის არის +წლის / ის ... წლისაა; ცხოვრობს +-ში |
| ეროვნებისა და წარმომავლობის შესახებ | არის + ...ელი (თბილისელი, ბოლნისელი...) |
| ოჯახი / ნათესავები | ეს ჩემი ოჯახია; ვცხოვრობ ...-თან ერთად |
| საკუთრების შესახებ | ეს მისი/მათი ოთახია |
| პროფესიის/ხელობის შესახებ | ფეხბურთელი, კალათბურთელი... პოლიციელი, მძღოლი, გამყიდველი, გემის კაპიტანი, მეზღვაური... |
| საკუთარი ან სხვისი საქმიანობის, აქტივობის შესახებ | ბიჭი ხატავს ძაღლს / ბიჭმა დახატა ძაღლი... |
| საყიდვებზე ყოფნისას | მომეცით, ინებეთ; რა ღირს? ყიდულობს / ყიდის |
| 1.3. აღწერა, დახასიათება | |
| ადამიანის გარეგნობა | როგორია? _ არის + ზედ. სახელი; აქვს + გრძელი, ლამაზი, შავი... თმა ...ზე დიდი / პატარა...; ყველაზე დიდი / პატარა... მაღალი - უფრო მაღალი - ყველაზე მაღალი; აქვს უღვაში / არის უღვაშიანი |
| ადამიანის ხასიათი | როგორია? _ არის + ზედ. სახელი ჭკვიანი, მხიარული... |
| საგნის, შენობის (სახლი, სკოლა...), ცხოველის, ფრინველის აღწერა | ეს ხის მაგიდაა / ეს სკოლის შენობაა...; დახოხავს, დაცურავს, დაბაჯბაჯებს... უშნო, ლამაზი, რბილი, მაგარი... - იანი: კოპლებიანი... / აქვს კოპლები / არის კოპლებიანი |
| 1.4. შეფასება, დამოკიდებულების გამოხატვა | |
| საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ნივთის, საქმიანობის, ამინდის, საჭმლის... მიმართ) | არა, არ მომწონს ... / არა, არ მიყვარს ...; წვიმიანი, ქარიანი, მზიანი... იყო ღრუბელი / იყო ღრუბლიანი ამინდი; ვეთანხმები / არ ვეთანხმები |

| | |
|---|--|
| დადებითი, უარყოფითი შეფასება (ნივთის, საქმიანობის, საჭმლის...) | არც ისე ...-ა (კარგია, გემრიელია...) |
| 1.5. საჭიროების, სურვილის გამოხატვა | |
| სურვილი | მე მინდა + საწყისი |
| 1.6. გრძნობების, ემოციის გამოხატვა | |
| სიხარული | რა კარგია! |
| ინტერესი | მაინტერესებს/არ მაინტერესებს + საწყისი |
| 1.7. დროში ორიენტირება | |
| მითითება საათის/დღის/კვირის/თვის/წლის | ცხრის ნახევარი; იანვარში... ზამთარში/ გაზაფხულზე...; შარშან, წელს, მომავალ წელს; მაშინ პირველად |
| ქრონოლოგიური თანამიმდევრობა | გუშინ, დღეს, ხვალ; დილით... |
| 1.8. სივრცეში ორიენტირება | |
| ადგილმდებარეობის მითითება (ადამიანის, ნივთის, ცხოველის, მარშრუტის...) | სად არის ...? _ არის + - თან/ახლოს/შორს/მარჯვნივ... |
| მიმართულების განსაზღვრა | მიდის + ...-თან |
| 1.9. ლოგიკური კავშირის გამოხატვა | |
| მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია | ... იმიტომ, რომ ...-ია |
| 1.10. ინტერაქცია საკლასო ოთახში | |
| მასწავლებლის მითითებები | ყურადღებით მომისმინე(თ)! მიპასუხე(თ) კითხვაზე! წაიკითხე(თ) დავალება! დაიყავით ჯგუფებად! გააკეთე(თ) სწრაფად! აღწერე(თ) სურათი! გაიმეორე(თ)! |

IV კლასი (დონე)

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს სასაუბრო თემასა და კონტექსტს; კონკრეტულ დეტალებს (<i>ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს ამბის განვითარების მარტივ საფეხურებს (<i>როგორ დაიწყო, რა მოხდა და როგორ დამთავრდა</i>); ➤ განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს; სიხშირეს; კონკრეტული მოქმედების / მდგომარეობის მიზეზს; ➤ ამოიცნობს პერსონაჟების მარტივ ემოციებსა და შეგრძნებებს; სურვილებსა და ინტერესებს; მარტივ შეფასება-დამოკიდებულებებს; ➤ განარჩევს ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება). |
| <p>რეკომენდაციები</p> <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) მცირე ზომის დიალოგები (მათ შორის, სატელეფონო დიალოგები);</p> <p>ბ) ლექსები და სიმღერები;</p> <p>გ) მცირე ზომის აღწერითი და თხრობითი ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები ან ნაწყვეტები (ადაპტირებული ზღაპარი, მოთხრობა, ამბავი);</p> <p>დ) მარტივი კორესპონდენცია (მისალოცი ბარათი, მცირე ზომის პირადი წერილი);</p> <p>ე) პრაგმატული ტექსტები (რეცეპტები, მარტივი განცხადებები);</p> <p>ვ) მასწავლებლის მითითებები და ინსტრუქციები;</p> <p>ზ) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა; ქართული ანიმაციური ფილმები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ილუსტრაციებსა და სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა მშობლიურ ენაზე ტექსტის შინაარსის გარშემო; ➤ უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ამოსაცნობად ნაცნობი ვერბალური თუ არავერბალური ელემენტების გამოყენება (მიმიკა / ქესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია, კონტექსტი...); ➤ ჩანაწერის ან უშუალოდ მეტყველების მოსმენისას არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობა (სხვადასხვა ტიპის ხმაური, ინტონაცია, მიმიკა, ქესტიკულაცია). | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერილი პერსონაჟის, ცხოველის, საგნის დასახელება, მითითება ან მონიშვნა სურათზე / ცხრილში; ➤ ტექსტის (ან მისი ნაწყვეტის, დიალოგის, რეპლიკის, წინადადების) დაკავშირება ილუსტრაციასთან / პერსონაჟთან და ა.შ.; ➤ კონკრეტული ინფორმაციით ნაკლული ტექსტის / წინადადების / რეპლიკის შევსება; ➤ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით სურათების განლაგება/დანომრვა; ➤ მოცემული ინფორმაციის ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგება (მაგ., <i>მოცემული ფრაზების დალაგება გამართული ტექსტის მისაღებად; არეული რეპლიკების დალაგებით მოსმენილი დიალოგის აწყობა</i> და ა.შ.); ➤ ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნა; ➤ მოცემული ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ინფორმაციის მონიშვნა / შემოხაზვა; ➤ მოცემული ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა; ➤ წინადადებების / რეპლიკების ბოლოს სასვენი ნიშნების დასმა; | |

| | |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> ➤ საკუთარი ვარაუდების, შესრულებული დავალების შემოწმება / დაზუსტება; ➤ მასწავლებლის თხრობის კვალდაკვალ ამბის ინსცენირება ➤ და სხვა. | |
| მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები | |
| სტანდარტის შედეგი: | IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, მიზანი); ➤ მარტივი საკითხავი ამოცანების შესასრულებლად ტექსტში პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას; ➤ ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობას; ➤ აკავშირებს კონკრეტულ შინაარსს სათანადო აზრებთან, ილუსტრაციას შესაბამის ეპიზოდთან / წარწერის შინაარსთან; ➤ განარჩევს ავტორისა და პერსონაჟის სიტყვებს; ➤ ავლენს ტექსტზე მუშაობის საწყისს ჩვევებს (მაგ., <i>საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას</i>); ➤ ავლენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების გამოყენებით ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა.</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტებს; ➤ კითხულობს შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყოფით; ➤ ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას. |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტები (ადაპტირებული ზღაპარი, მოთხრობა, ამბავი, ლექსი);</p> <p>ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი მცირე ზომის ტექსტები (მინიდილოგები, თხრობითი და აღწერითი ტექსტები, კომიქსები);</p> <p>გ) სავარჯიშოთა ინსტრუქციები;</p> <p>დ) პრაგმატული ტექსტები (დღის განრიგი, მარტივი რეცეპტი, მარტივი განცხადება, ანკეტა და სხვა);</p> <p>ე) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);</p> <p>ვ) ილუსტრირებული შემეცნებითი ხასიათის მიკროტექსტები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციებზე დაყრდნობით ტექსტის შინაარსის შესახებ; ➤ შინაარსის გასაადვილებლად არასიტყვიერი ელემენტების გამოყენება (ილუსტრაცია, ლოგო...); ➤ სტრუქტურულ, ორგანიზაციულ მახასიათებლებზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის ტექსტის გარჩევა (მაგ., <i>რეცეპტს განარჩევს ღია ბარათისაგან, ღია ბარათს - შემეცნებითი ტექსტისაგან</i>) და მითითება/დასახელება (მაგ., <i>ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, ბოლოს - ხელმოწერა და ა.შ.</i>); ➤ მშობლიურ ენაზე იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა. | |
| <p>კონკრეტულ აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექსტში დასმული შეკითხვის პასუხის, ნახატის შესატყვისი წინადადების, ერთი სემანტიკური ველის სიტყვების პოვნა; ➤ შემოწმება, სწორია თუ არა ესა თუ ის მოცემული ინფორმაცია; ➤ სავარაუდო პასუხებიდან სწორი ვარიანტის შემოხაზვა; ➤ მცდარი ინფორმაციის მითითება/მონიშვნა; ➤ ტექსტის მიხედვით სურათების დანომვრა ან ილუსტრაციის შექმნა; ➤ არეული ინფორმაციის, რეკლიკის თანამიმდევრობით დალაგება; | |

- ტექსტიდან სხვადასხვა ინფორმაციას ამოკრება (მაგ., რეცეპტიდან - ინგრედიენტების, მოქმედებების; ანკეტიდან საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის და ა.შ.);
- ცხრილის შევსება მსგავსი ტიპის ტექსტების მონაცემებით (მაგ., სხვადასხვა ანკეტიდან, განცხადებებიდან, ღია ბარათებიდან, პირადი წერილებიდან და ა.შ.);
- კონკრეტული ინფორმაციით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ერთმანეთთან შედარება (მაგ., განცხადებისა და ანკეტის; განცხადებისა და ღია ბარათის და ა.შ.);
- ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახულ სიმბოლურ, სოციოკულტურულ, საყოფაცხოვრებო რეალიებზე მითითება / დასახელება(მაგ. ჯვარი, ჩურჩხელა, მერეთი, ხალხური საკრავი, ტანსაცმელი და ა.შ.);
- სოციოკულტურული ნიშნით მსგავსებება-განსხვავებების ჩვენება (მაგ., დღესასწაულები, პერსონაჟები, დროშა, ნუგზარი, საკუთარი სახელები);
- მშობლიურ ენაზე იმ მოსმენილი ან წაკითხული ამბების, ზღაპრების, ლეგენდების, ანიმაციური ფილმების დასახელება, რომლებიც გაახსენა შესწავლილმა ტექსტმა
- და სხვა.

| მიმართულება კომუნიკაცია: წერა | |
|---|---|
| სტანდარტის შედეგები | IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოდელის მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის წერა ნასწავლი თემატიკის გარშემო.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას (ადრესატს, მიზანს); ➤ სათქმელს ალაგებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით; ➤ მიუთითებს კონკრეტულ დეტალებს (<i>ვინ, რა, სად, როდის, როგორ</i> და ა.შ.); ➤ გამოხატავს სათქმელის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას, ინტერესს, გრძნობებსა და ემოციებს; ➤ წერისას იყენებს ამა თუ იმ ტექსტის ენობრივ და სტრუქტურულ მახასიათებლებს (მაგ., <i>იცავს კორესპონდენციის ფორმალურ მხარეს; შემეცნებით ტექსტში _ სათაურს, რუბრიკებს, აბზაცებს; ტექსტს ყოფს აზრობრივ მონაკვეთებად; წერილის ადრესატის გათვალისწინებით იცავს სათანადო ეტიკეტს და ა.შ.);</i> ➤ სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (<i>წერტილს, მძიმეს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს</i>). |
| რეკომენდაციები | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) პრაგმატული ტექსტები (ანკეტა, განცხადება, რეცეპტი, დღის განრიგი...);</p> <p>ბ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);</p> <p>გ) აღწერითი ტექსტები;</p> <p>დ) დიალოგები.</p> | |
| <p>კონკრეტულ დავალბათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შინაარსის დასრულება ნახატის მიხედვით; ➤ ადამიანის, ცხოველის, საგნის, ყოველდღიური საქმიანობების აღწერა და ა.შ.; ➤ ტექსტის მიხედვით ორი პერსონაჟის, საგნის, ცხოველისა და ა.შ. შედარებითი დახასიათების დაწერა (მსგავსება-განსხვავებების ჩვენება); ➤ ნაკლული ტექსტის შევსება (მაგ., <i>ანკეტას ავსებს ტექსტის მიხედვით ან პირადი მონაცემებით: სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და სხვა; დიალოგს - ნაკლული რეპლიკებით: პასუხების მიხედვით წერს შეკითხვებს და პირიქით და ა.შ.);</i> ➤ თავისი ან სხვისი დღის განრიგის შედგენა; | |

- მოდელის მიხედვით ახალი ტექსტის შექმნა (მაგ., ღია ბარათის / პირადი წერილის დაწერა, მარტივი განცხადების, რეკვიზიტის შედგენა ახალი მონაცემების მიხედვით; ახალ მონაცემებზე დაყრდნობით მცირე ზომის აღწერითი ტექსტის, მარტივი საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის დაწერა; დიალოგების შედგენა);
- ტექსტის გარშემო დასმულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა;
- სურათის მიხედვით ტექსტის გასწორება და გადაწერა;
- კროსვორდების შევსება;
- პირადი ლექსიკონების შექმნა
- და სხვა.

მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები

| სტანდარტის შედეგები | IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
|--|--|
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ენის გასატეხების, ლექსებისა და გათვლების ზეპირად წაკითხვა; სიმღერების შესრულება, მარტივი დიალოგებისა და სცენების გათამაშება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებსა და ფრაზებს; ➤ ტექსტების შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას; ➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციებს, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს, ბაძავს პერსონაჟების ხმის ტემბრს. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციების აღწერა, მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს საკლასო ან სიმულაციურ სიტუაციებში, ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., <i>გაცნობა/წარდგენა, ინტერვიუს ჩამორთმევა, ვიზიტი ექიმთან, სატელეფონო დიალოგები</i> და ა.შ.); ➤ პასუხობს ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებზე; ➤ მარტივი წინადადებებით აღწერს სურათს; ➤ ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება მოსმენილი ტექსტის მოკლე შინაარსს, ნანახ, თავს გადამხდარ პატარა ამბავს. |

რეკომენდაციები

ტექსტის ტიპები:

ა) ლექსები და სიმღერები; საბავშვო პიესები;

ბ) მინიინტერვიუები, სიმულაციური დიალოგები;

გ) პოსტერები და ილუსტრაციები.

სტრატეგიები:

- მშობლიურ ენაზე დახმარების თხოვნა მასწავლებლის ან თანაკლასელისაგან;
- კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების გამოყენება (ჟესტების, მიმიკის);
- წინასწარ ვარჯიში, რეპეტიცია მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან ერთად.

კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:

- ლექსების ზეპირად წაკითხვა, სიმღერების შესრულება;
- მარტივი დიალოგებისა და სკეტჩების გათამაშება; მინისპექტაკლებში მონაწილეობა;
- სიმულაციური სიტუაციების გათამაშება (მაგ., *ვიზიტი ექიმთან, ტელეფონით ჯანმრთელობის გარკვევა, აფთიაქში* და ა.შ.);
- თანაკლასელებთან ინტერვიუების ორგანიზება (მაგ., *ვის როდის აქვს დაბადების დღე? რომელი კერძი/თამაში/ცხოველი/წელიწადის რომელი დრო... მოსწონს/არ მოსწონს? რით ერთობა? რა სიხშირით მოქმედებს, სად და როგორ, ვისთან ერთად გაატარებს არდადეგებს, იქ რას გააკეთებს* და ა.შ.);

- კლასის წინაშე რეალურ ან წარმოსახვით ადამიანზე საუბარი (მაგ., *საუბრობს საკუთარი ოჯახის წევრის, მეგობრის... შესახებ: ვინ არის, რა ჰქვია, რამდენი წლისაა, როდის აქვს დაბადების დღე, სად ცხოვრობს და ვისთან ერთად, როგორია, რას საქმიანობს, რა აინტერესებს და ა.შ.*);
- საუბარი მომავალ გეგმებზე (მაგ., *სად და როგორ გაატარებს შაბათ-კვირას, არდადეგებს და ა.შ.*);
- ილუსტრაციების აღწერა;
- მინიპროექტების განხორციელება და მისი პრეზენტაცია;
- სახალისო ვიქტორინების მოწყობა ნასწავლი თემების გარშემო
- და სხვა.

| მიმართულება: გრამატიკა | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების, შესაბამისი ენობრივი მარკერების (მაგ., დროისა და სივრცის, მოქმედებისა და ინტენსივობის გამომხატველი სიტყვების), კონკრეტული სიტყვათშეხამებების, ცალკეული ნასწავლი მარტივი დარგობრივი ლექსიკის ამოცნობა და გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საკლასო თუ სიმულაციურ სიტუაციებში მარტივი სოციალური ურთიერთობის დასამყარებლად ამოიცნობს და იყენებს სათანადო ლექსიკას ან კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს (მაგ., <i>ვინ გნებავთ? _ თუ შეიძლება, ...-ს სთხოვეთ! გისმენთ! ნომერი შეგეშალათ, სხვაგან მოხვდით... და ა.შ.</i>); ➤ ინფორმაციის გასაცვლელად ამოიცნობს და იყენებს შესაბამის ლექსიკას პირადი მონაცემების, ეროვნებისა და წარმომავლობის, პროფესიისა და საქმიანობის, ჯანმრთელობის, გართობის, თავისუფალი დროისა და ა.შ. შესახებ; ➤ სათანადო ლექსიკით გამოხატავს მოქმედების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობასა და ინტენსივობას (მაგ., <i>წინ, ჯერ, შემდეგ; ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასდროს</i>); ➤ იმეორებს კონკრეტულ სიტყვათშეხამებას (მაგ., <i>მსაზღვრელ-საზღვრულს სათანადო ბრუნვასა და რიცხვში: ჩემს ძმას, ლამაზ კაბას, ორ ბავშვს, ჩემი ძმის, ორ აპრილს და ა.შ.</i>); ➤ მიზეზის გამოსახატავად იყენებს იმიტომ, რომ კავშირს (<i>გაცივდა იმიტომ, რომ უქულოდ გავიდა; ტირის იმიტომ, რომ კბილი სტკივა და ა.შ.</i>). |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი სახელისა და ზმნის კონკრეტული ფორმების, შესაბამისი გრამატიკული საშუალებების, სიტყვებ შორის ნასწავლი სინტაქსური მიმართებების, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, შესაბამისი სასვენი</p> | <p>მოსწავლე:</p> <p>განარჩევს და იყენებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებს შედარების გამოსახატავად; ➤ ნასწავლი სახელების შეკუმშულ და შეკვეცილ ფორმებს სათანადო ფუნქციის გამოხატვისას (მაგ., <i>ძმის ბურთი, ატმის ხე და ა.შ.</i>); ➤ ნასწავლი ზმნების საწყის ფორმებს; |

| | |
|--|---|
| ნიშნების გარჩევა და სათანადო ფუნქციით მათი გამოყენება. | <ul style="list-style-type: none"> ➢ ნასწავლი ზმნების ახლანდელი (<i>აწყო</i>), წარსული (<i>წყვეტილი</i>) და მომავალი (<i>მყოფადი</i>) დროის ფორმებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებში; <p><u>სწორად აფორმებს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ➢ III სუბიექტური პირის ნაცვალსახელს მხოლოდით რიცხვში სხვადასხვა ტიპის ზმნასთან (<i>ის თამაშობს, ერთობა; მას მოსწონს, აინტერესებს...</i>). |
|--|---|

რეკომენდაციები

| |
|---|
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ თვალსაჩინო მაგალითებზე დაკვირვებით მარტივი ენობრივი მექანიზმების ამოცნობა (მაგ., სურათის დახმარებით ამოიცნობს -თან თანდებულის კონკრეტულ ფუნქციას: <i>ბიჭი არის სახლთან/სახლში</i>; ან სურათის დახმარებით ამოიცნობს -თან თანდებულის სხვადასხვა ფუნქციას: <i>ბიჭი მიდის მეგობართან, ბიჭი მიდის მეგობართან ერთად</i> და ა.შ.); ➢ მასწავლებლის დახმარებით მარტივი მექანიზმების შემცველი გრამატიკული თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება; ➢ ლექსიკური ერთეულების დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება (ხმამალა გამეორება, რამდენჯერმე წაკითხვა ან დაწერა, ასოცირება ნახატთან, მოძრაობასთან, რაიმე სიტუაციასთან და ა.შ.); ➢ ლექსიკური მასალის დახარისხება სამი კრიტერიუმის მიხედვით, მაგ.: კარგად ვიცი, ცუდად ვიცი, არ ვიცი; ➢ განვლილი ლექსიკური მასალის გამეორება. |
|---|

| |
|--|
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ენობრივად (ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და ლექსიკურად) არასწორად დაწერილი სიტყვებისა და სიტყვათშეხამებების პოვნა და შემოხაზვა / მონიშვნა / გასწორება; მცდარი ფორმების გადახაზვა; ➢ სიტყვათა სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება, სიტყვათა კლასიფიცირება; ➢ მოცემული ფორმებიდან კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის შერჩევა და ჩასმა (მაგ., <i>ზმნის ფორმა პირის, რიცხვის, დროის მიხედვით; სახელის ბრუნვა და რიცხვი</i> და ა.შ.); ➢ სიტყვების სათანადო ფორმაში ჩასმა (მაგ., <i>ორ_ საათია / ორ_ ნახევარია / ორ_ აკლია...</i> და ა.შ.); ➢ ნიმუშის მიხედვით ფორმათა წარმოება (მაგ., <i>ყველაზე ლამაზი - ულამაზესი...</i>) ➢ წინადადებების / ცალკეული ზმნების გადაკეთება (მაგ., <i>აწყოდან წარსულში, მომავალში</i> და ა.შ.); ➢ მოცემული სიტყვებით მარტივი წინადადებების შედგენა; ➢ კონტექსტის მიხედვით წინადადებების დასრულება; ➢ სხვადასხვა ნიშნით სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირება (მაგ., <u>გრამატიკული ნიშნით</u>: პირის ნაცვალსახელების ზმნის შესაბამის ფორმებთან...; <u>ლექსიკური ნიშნით</u>: სინონიმების, ანტონიმების და ა.შ.) ➢ და სხვა. |
|--|

| | |
|---|---|
| მიმართულება: სწავლის სწავლა | |
| სტანდარტის შედეგები | IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვის საწყისი უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მასწავლებელთან და გუნდის წევრებთან ერთად გეგმავს პროექტის / ჯგუფური სამუშაოს განხორციელების ეტაპებს; ➢ ასრულებს მასწავლებლის მიერ მინიჭებულ ფუნქციას; ხალისით მონაწილეობს აქტივობებში; ➢ მასწავლებლის დახმარებით აუმჯობესებს პროექტს / სამუშაოს; შეაქვს შესწორებები; ➢ ხალისით ავსებს თვითშეფასების სქემებს; ინტერესდება შეფასების შედეგებით; ➢ იწერს დავალებებს; |

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> ➤ ახერხებს ყურადღების კონცენტრირებას; ➤ სვამს შეკითხვებს და ითხოვს დახმარებას, როცა სიმძნელეს აწყდება ან რაიმე არ ესმის; ➤ იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას. |
| ქ.მ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს კონსტრუქციული დამოკიდებულების გამოვლენა და სხვებთან თანამშრომლობა. | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არ უფრთხის შეცდომების დაშვებას; ➤ კორექტულად აღნიშნავს დაშვებულ შეცდომებს; არ დასცინის / არ ამცირებს თანაკლასელებს; ➤ სხვებს აცდის პასუხის დასრულებას; ➤ თანატოლს ეხმარება იმ საკითხებში, რომლებშიც თავად არის ძლიერი; ➤ მეწყვილესთან ან გუნდის წევრებთან ერთად გადაჭრის დასმულ ამოცანას; ➤ ახერხებს თანაგუნდელებთან მორიგებას. |
| ქ.მ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების მოძიება და გააზრებულად გამოყენება. | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მასწავლებლის, ოჯახის წევრის, უფროსი მეგობრის და ა.შ. დახმარებით მოიძიებს სათანადო რესურსებს მასალის შესაქმნელად; ➤ მოძიებული მასალის დასამუშავებლად, საჭიროებისამებრ, მიმართავს მასწავლებელს დასახმარებლად ან კონსულტაციისათვის; ➤ იყენებს სახელმძღვანელოს ილუსტრაციებს, სარჩევს, ლექსიკონს, ნიმუშებს, საკლასო ოთახში არსებულ თვალსაჩინოებებს; ➤ ქმნის და იყენებს დამატებით რესურსებს (მაგ., ბარათი, ლოტო, ნახატი და სხვა). |

IV კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით:

| სამეტყველო ფუნქციები | ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები |
|---|---|
| 1.1. სოციალური ურთიერთობები | |
| მისალმება | გამარჯობა(თ)! |
| მოკითხვა | როგორ ხარ / ბრძანდებით? |
| დამშვიდობება | კარგად ბრძანდებოდით! ღამე მშვიდობისა! |
| წარდგენა (საკუთარი თავის/სხვისი), გაცნობა | გაიცანით, ეს არის ... / ...-ა |
| მილოცვა (დაბადების დღის, დღესასწაულის) | გისურვებ(თ) ჯანმრთელობას, ბედნიერებას... |
| დათანხმება, უარი | კი, კარგი |
| წახალისება | კარგია! |
| ტელეფონით საუბარი | ვინ გნებავთ? _ თუ შეიძლება, ...-ს სთხოვეთ! გისმენთ! ნომერი შეგეშალათ, სხვაგან მოხვდით... |
| 1.2. ინფორმაციის გაცვლა | |

| | |
|--|--|
| პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი | დავიზადე / ვცხოვრობ ... -ში |
| ეროვნებისა და წარმომავლობის შესახებ | სადაური ხარ? _ თბილისელი... |
| ტელეფონის ნომერი | ჩემი ტელეფონის ნომერია ... |
| ოჯახი / ნათესავები | ეს ჩემი ოჯახია; ვცხოვრობ ...-თან ერთად |
| საკუთრების შესახებ | ეს მისი/მათი ოთახია |
| პროფესიის/ხელობის შესახებ | ის მუშაობს ...ში, ექიმა. კბილის ექიმი, ტანსაცმლის მკერავი... |
| ჯანმრთელობის შესახებ | რა გაწუხებს/რა აწუხებს? _ მახველებს/... მტკივა; აქვს სიცხე... / ახველებს, აცემინებს... |
| საკუთარი ან სხვისი საქმიანობის, აქტივობის შესახებ | ვიღვიძებ, ვიბან, ვსაუზმობ, მივდივარ, ვკითხულობ, ვთამაშობ ... კერავს - შეკერავს; ამზადებს მოამზადებს ... |
| თავისუფალი დროის შესახებ | რას აკეთებ თავისუფალ დროს? ...თან ერთად + ვთამაშობ + ...-ს; ვერთობი + ...თან ერთად; ვისეირნობ / ვისეირნებ; ვისვენებ / დავისვენებ... |
| 1.3. აღწერა, დახასიათება | |
| ადამიანის გარეგნობა | როგორია? _ არის + ზედ. სახელი აქვს + გრძელი, ლამაზი, შავი... თმა |
| ადამიანის ხასიათი | როგორია? _ არის + ზედ. სახელი |
| საგნის, შენობის (სახლი, სკოლა...), ცხოველის, ფრინველის აღწერა | ეს ხის მაგიდაა / ეს სკოლის შენობაა... ; ლამაზი, ყველაზე ლამაზი, ულამაზესი; კარგი - უკეთესი; ცუდი - უარესი... ვარსკვლავივით ციმციმებს / ყვავილივით ლამაზია |
| 1.4. შეფასება, დამოკიდებულების გამოხატვა | |
| საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ნივთის, საქმიანობის, ამინდის, საჭმლის... მიმართ) | არა, არ მომწონს ... / არა, არ მიყვარს ... |
| დადებითი, უარყოფითი შეფასება (ნივთის, საქმიანობის, საჭმლის...) | კარგია, გემრიელია... |
| 1.5. შეგრძნებების გამოხატვა | |
| 1.6. საჭიროების, სურვილის გამოხატვა | |
| სურვილი | მე მინდა + საწყისი; მინდა, რომ ვიყო ... |
| 1.7. გრძნობების, ემოციის გამოხატვა | |
| სიხარული | მიხარია! |
| გაკვირვება | მართლა? |
| ინტერესი | მაინტერესებს/არ მაინტერესებს + საწყისი |
| 1.8. დროში ორიენტირება | |
| მითითება საათის/დღის/კვირის/თვის/წლის | იანვარში... ორ იანვარს; სეზონები, თვეები, კვირის დღეები ცოტა ხანში / მოგვიანებით / ხუთ წუთში / ერთ საათში ... |
| ქრონოლოგიური თანამიმდევრობა | გუშინ, დღეს, ხვალ; დილით, შუადღისას, სალამოს; ჯერ/ წინ/შემდეგ; გვიან / ადრე; |

| | |
|---|--|
| 1.9. სივრცეში ორიენტირება | |
| ადგილმდებარეობის მითითება (ადამიანის, ნივთის, ცხოველის, მარშრუტის...) | სად არის...? არის + -თან/ახლოს/შორს/მარჯვნივ... |
| მიმართულების განსაზღვრა | მიდის + ...-თან |
| 1.10. ლოგიკური კავშირის გამოხატვა | |
| მიზეზი, შედეგი | სტკივა იმიტომ, რომ იმიტომ, რომ მომწონს / მაინტერესებს |

V კლასი (დონე)

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|--|---|
| სტანდარტის შედეგები | V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II). 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ილუსტრირებული ტექსტის ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციასა და კონკრეტულ დეტალებს (<i>თემას, საკითხებს; პერსონაჟებს/ თანამოსაუბრეებს; მოქმედების დროსა და ადგილს</i> და ა.შ.); ➢ ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა შორის არსებულ მარტივ ურთიერთობებს (<i>მაგ., თანაკლასელები, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები</i> და ა.შ.); ➢ ამოიცნობს სიუჟეტის განვითარების ხაზს; ➢ ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II). 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ რეპლიკებზე დაყრდნობით გამოხატავს პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას; ➢ აფასებს პერსონაჟთა ხასიათს, ქცევას; ➢ ტექსტში ასახულ ამბავს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსმენილი ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებსა და კლიშეებს; მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; ➢ კონკრეტულ სიტყვათმეხამებებს, ცალკეულ მარტივ დარგობრივ ლექსიკას; ➢ ამოიცნობს მოქმედების ქრონოლოგიის, სიხშირისა და ხანგრძლივობის გამომხატველ ენობრივ მარკერებს; ➢ განასხვავებს და ამოიცნობს თანამოსაუბრეთა მიერ ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (<i>თხოვნა, მოთხოვნა, ბრძანება, შეკითხვა</i>). |
| <p>რეკომენდაციები</p> <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი დიალოგები; აღწერითი/ნარატიული ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები, კომიქსები;</p> <p>ბ) ილუსტრირებული მხატვრული ტექსტები (ლექსი, მარტივი ამბავი, ადაპტირებული ზღაპარი / მოთხრობა);</p> <p>გ) მცირე ზომის მარტივი ილუსტრირებული საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები;</p> <p>დ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);</p> <p>ე) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა; ანიმაციური / საბავშვო ფილმები; მისთვის საინტერესო თემაზე გადაღებული საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები.</p> <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ილუსტრაციების, სათაურის საფუძველზე ტექსტის შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა მშობლიურ ენაზე; ➢ ჩანაწერის ან უშუალოდ მეტყველების მოსმენისას არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობა (ხმის ტემბრი, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია); | |

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> ➤ ნაცნობ სიტყვიერ თუ არასიტყვიერ ელემენტებზე (მაგ., კონტექსტი, მიმიკა/ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია და ა.შ.) დაყრდნობით უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობის მცდელობა; ➤ მშობლიურ ენაზე იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო მოსასმენი ამოცანის გადაჭრა. |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ცხრილის / ნაკლული ტექსტის / დიალოგის შევსება სათანადო ინფორმაციით; ➤ სწორი/არასწორი პასუხის / ინფორმაციის მონიშვნა; ➤ მოცემული ინფორმაციის / წინადადებების დადასტურება ან უარყოფა; ➤ მოსასმენი ამოცანების შესაბამისად კონკრეტული ინფორმაციის ილუსტრაციასთან დაკავშირება; ➤ საკუთარი ვერსიების შედარება / შემოწმება / დაზუსტება; ➤ კითხვებზე პასუხი; ➤ პერსონაჟების / თანამოსაუბრეების დახასიათება (მაგ., მიუთითებს მათ ხასიათზე, საქმიანობებზე, ინტერესებზე, გეგმებზე და ა.შ.); ➤ რეკლიკის დაკავშირება ავტორთან; ➤ პერსონაჟების ან კონკრეტული ინფორმაციების ერთმანეთთან შედარება გარკვეული ნიშნის მიხედვით (მაგ., რამდენ წელს ცხოვრობს სპილო და რამდენს - ჯიხვი; რით იკვებებიან და ა.შ.); ➤ იმის მითითება, რით დაიწყო, რა მოხდა შემდეგ და რით დამთავრდა; ➤ ტექსტის ან კონკრეტული ეპიზოდის ილუსტრაციების შექმნა ➤ და სხვა. |

| მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები | |
|---|---|
| სტანდარტის შედეგი: | V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ტექსტის ან ცალკეული ეპიზოდის საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი; თემა, მიზანი); ტექსტში ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას საკითხავი ამოცანების შესაბამისად; ➤ ამოიცნობს მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობას; მათ შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს; ➤ ამოიცნობს პერსონაჟების ემოციებსა და განწყობებს, მათი ქცევის მოტივებს (მაგ., რატომ არის მოწყენილი; რატომ მოიქცა ასე და ა.შ.); ➤ განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს; ➤ გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს; ➤ ამოიცნობს მარტივ წინადადებებს ან ერთი რთული წინადადების ნაწილებ შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს; ➤ იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების / ქცევის მიმართ; ➤ აფასებს პერსონაჟთა საქციელს; ➤ ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; ➤ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამართულად და გამომეტყველებით უკითხავს თანაკლასელებს სასურველ/შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან; |

| | |
|---|---|
| <p>გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა.</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმის დროს; ➤ მონაწილეობს დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განარჩევს სხვადასხვა ტიპის ტექსტს მათ სტრუქტურულ, ორგანიზაციულ მახასიათებლებზე დაკვირვებით (მაგ., <i>მოთხრობას, ზღაპარს ლექსისგან, პირადი წერილისგან</i>); ➤ ასახელებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებს (მაგ., <i>შემეცნებით ტექსტებში - სათაურები, რუბრიკები, წარწერები, ილუსტრაციები და ა.შ.</i>); ➤ ამოიცნობს და ასახელებს ლიტერატურული ზღაპრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, თავისებურებებს (მაგ., <i>ავტორი, ზღაპრული ელემენტები, ენობრივი ფორმულები - იყო და არა იყო რა; ჭირი იქა, ლხინი აქა; გადაიარა ცხრა მთა და ცხრა ზღვა</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს ამა თუ იმ ტექსტისთვის დამახასიათებელ ენობრივ ნიშნებს (მაგ., <i>მხატვრულ ტექსტში ზმნების ჭარბი გამოყენება, ამბის/მოვლენების განვითარების გამოხატვის შესაბამისი მარკერები, პირდაპირი ნათქვამი, ავტორისეული მეტყველება</i> და ა.შ.; <i>კორესპონდენციაში - მისაღმება/დამშვიდობებისა და მიმართვის ფორმულები</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს აღწერითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ძირითად ენობრივ ნიშნებს (მაგ., <i>ზედსართავი სახელების ჭარბი გამოყენება, ზმნების ძირითადად ერთი დროის ფორმით ხმარება</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., <i>მოკითხვის, მილოცვის, დაპატივების</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს სასვენი ნიშნების ფუნქციას (მაგ., <i>ორი წერტილის, ტირეს</i>). |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი ტექსტები (მინიდილოგები, აღწერითი და ნარატიული ტექსტები, კომიქსები);</p> <p>ბ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);</p> <p>გ) მცირე ზომის ადაპტირებული მხატვრული ტექსტები (ლექსი, მოთხრობა, ლიტერატურული ზღაპარი);</p> <p>დ) მცირე ზომის ილუსტრირებული საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შინაარსის გასაადვილებლად სიტყვიერი (ნაცნობი ძირი, კონტექსტი...) და არასიტყვიერი (ტიპოგრაფიული მინიშნებები, ხაზგასმა, ილუსტრაცია, ლოგო...) ელემენტების გამოყენება; ➤ ხმამაღლა წაკითხვამდე ჯერ ჩუმად წაკითხვა და შინაარსის გააზრება; ➤ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით მშობლიურ ენაზე ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო; ➤ მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებ შორის განსხვავებების პოვნა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით; ➤ მშობლიურ ენაზე იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა. | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კონკრეტული ინფორმაციის პოვნა / ამოკრება (მაგ., <i>ავსებს ცხრილს; მონიშნავს სწორ/არასწორ პასუხს/ინფორმაციას; პასუხობს შეკითხვებზე; პოულობს რეპლიკებსა და მათ ავტორებს; მითითებულ ეპიზოდებს</i> და ა.შ.); | |

- საკითხავი ამოცანების შესაბამისად ინფორმაციების ერთმანეთთან, ტექსტის ილუსტრაციასთან დაკავშირება (მაგ., აკავშირებს სათაურს ტექსტთან; გეგმის ცალკეულ პუნქტს სათანადო აზრაცთან/აზრაცებთან; რუბრიკას ან ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს / ეპიზოდს შესაბამის ილუსტრაციასთან და ა.შ.; მიუთითებს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია, მაგ., აქლემი ჭამს მცენარეებს - „საკვები“, ბინადრობს აზიაში - „საცხოვრებელი ადგილი“ და ა.შ.);
- ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; საგნის, გარემოს, მოქმედების, მოვლენის აღწერა;
- ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული სიმბოლური, სოციოკულტურული, საყოფაცხოვრებო რეალების მითითება;
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება (პოულობს და ასახელებს მსგავსებებს, განსხვავებებს);
- მოსმენილი ან წაკითხული ამბების, ზღაპრების, ლეგენდებისა თუ ნანახი ფილმების (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული) დასახელება მშობლიურ ენაზე, რომლებიც გაახსენა შესწავლილმა ტექსტმა და სხვა.

ენობრივ დავალებათა ნიმუშები:

- მოცემული ენობრივი ერთეულების (/მასალის) დაკავშირება სხვადასხვა მიზნით (მაგ., შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; წინადადების ერთი ნაწილის დაკავშირება მეორესთან; ლექსიკურ ერთეულთან შესაბამისი განმარტების დაკავშირება; მსგავსი ან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების დაკავშირება ერთმანეთთან და ა.შ.);
- წინადადებაში სწორი/არასწორი სიტყვის ან შესიტყვების, გრამატიკული ფორმის მონიშვნა / გადახაზვა;
- ტექსტში დაშვებული ლექსიკური თუ გრამატიკული შეცდომების პოვნა და მითითება;
- მოცემული ვარიანტებიდან სწორი / არასწორი ვარიანტის მონიშვნა, შემოხაზვა
- და სხვა.

| მიმართულება კომუნიკაცია: წერა და წერის სტრატეგიები | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის / ამბის წერა ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან ნიმუშისა თუ მოცემული პირობის მიხედვით. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას (თემა, რუბრიკები, მიზანი, ადრესატი); ➤ აღწერს / ახასიათებს ადამიანებს, ცხოველებს, საგნებს; ➤ თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს; ➤ გამოხატავს საკუთარ განწყობებს, გრძნობებსა და სურვილებს; ➤ ავლენს შემოქმედებით დამოკიდებულებას. |
| ქ.მ.დაწყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას კონკრეტული პერსონაჟისადმი / ფაქტისადმი / მოვლენისადმი; ➤ აფასებს პერსონაჟის / ცხოველის ქცევას; ➤ ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; ➤ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| ქ.მ.დაწყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით წერილობითი ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლებისა და ელემენტარული | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ წერისას იყენებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს (მაგ., კორესპონდენციის წერის დროს - მიმართვა, ხელმოწერა, თარიღი; შემეცნებითი ტექსტის დროს - რუბრიკები, ქვერუბრიკები და ა.შ.); |

| | |
|---|---|
| <p>ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის (მაგ., მილოცვა, დაპატიჟება, შთაბეჭდილების გაზიარება, გრძნობის გამოხატვა, ინფორმაციის გაცვლა და ა.შ.) შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა და ხერხებს, შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულებსა და გრამატიკულ ფორმებს; ➤ წერილის ადრესატის გათვალისწინებით იცავს სათანადო ეტიკეტს (მიმართვა-მისალმების, მოკითხვის, დამშვიდობების ფორმულები; ზმნების თავაზიანი ფორმები); ➤ მართებულად იყენებს შეფასება/დამოკიდებულების გამოხატველ ენობრივ ფორმულებს; ➤ ადამიანების/საგნების შესადარებლად იყენებს შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., ...-თან შედარებით უფრო ...-ია / უფრო მეტად/ნაკლებად და ა.შ.); ➤ ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში; ➤ სათანადოდ აფორმებს მარტივი წინადადების ფარგლებში სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს; ➤ იცავს მართლწერის წესებს რთული რიცხვების დაწერისას; ➤ წარსულში შესრულებული მოქმედებებისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად იყენებს შესაბამისი მწკრივის ფორმას (უწყვეტელი / წყვეტილი); ➤ სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს. |
|---|---|

რეკომენდაციები

ტექსტის ტიპები:

- ა) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);
- ბ) შემეცნებითი ხასიათის მიკროტექსტები სკოლის / კლასის გაზეთისთვის ან ჟურნალისთვის;
- გ) ყოფითი დიალოგები;
- დ) მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები.

სტრატეგიები:

- მასწავლებლის დახმარებით სამუშაოს დაწყებამდე საჭირო რესურსების თავმოყრა (მაგ., ლექსიკური თუ გრამატიკული მასალის, ნიმუშების, ენობრივი კონსტრუქციებისა და ა.შ.);
- შავი ვარიანტის წერა;
- შავი ვარიანტის წაკითხვა და შემოწმება; მასწავლებლის / თანაკლასელების შენიშვნების გათვალისწინება;
- გასწორების მიზნით შავი ნაწერის გადაკითხვა (მაგ., ასწორებს ენობრივ შეცდომებს, აუმჯობესებს დიზაინს - სიტყვიერი და არასიტყვიერი მარგანიზებელი ელემენტების განლაგებას);
- მარტივი შესწორებების შეტანა შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგ., სიტყვის/წინადადების ჩამატება ან წაშლა და ა.შ.).

კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:

- ღია ბარათის შედგენა სხვადასხვა მიზნით (მილოცვა, ამბის შეტყობინება, დაპატიჟება);
- გემის მიხედვით პირადი წერილის / ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსის წერა;
- მოცემული ყალიბის შევსება განსხვავებული შინაარსით (მაგ., წერს პერსონაჟის საპირისპირო დახასიათებას; ავსებს ტექსტს პერსონაჟის პირადი მონაცემებით და ა.შ.);
- ამბის დასრულება, ან დასასრულის შეცვლა საკუთარი წარმოსახვით, ილუსტრაციაზე დაყრდნობით და ა.შ.;
- ილუსტრაციებისათვის წარწერების შექმნა;
- ნიმუშის ან მოცემული პირობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერა (მაგ., მეგობრის, საცხოვრებელი ადგილის, ნივთის, ცხოველის აღწერა; დიალოგის მიხედვით დიალოგში მონაწილე პირების შესახებ საინფორმაციო ტექსტის დაწერა: ვინაობა, ოჯახი, ნათესავები, საქმიანობა, ინტერესები და ა.შ.)
- და სხვა.

| | |
|--|---|
| ენობრივი დავალებების ნიმუშები: | |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ წინადადებაში / ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომების გასწორება და გადაწერა; ➤ წინადადებაში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა სათანადო ფორმებით (მაგ., შესაბამისი ნაცვალსახელების, ზმნის ფორმების და ა.შ.); ➤ ფორმათა დასრულება (მაგ., ახალ_წლ_ ატრიბუტები და ა.შ.); ➤ წინადადებების შედგენა / აწყობა (მაგ., არეული სიტყვების დალაგება; მოცემული სიტყვების სათანადო ფორმაში ჩასმა; ნახატების შესატყვისი წინადადებების მოფიქრება და ა.შ.); ➤ კითხვით სიტყვებზე მუშაობა და მათი გამოყენებით შესაბამისი შეკითხვების დასმა / წინადადებების შედგენა / დიალოგში გამოტოვებული რეპლიკების შევსება და ა.შ.; ➤ სიტყვის / წინადადების / ტექსტის შეცვლა (ტრანსფორმაცია), მაგ., მხოლობითიდან მრავლობითში გადაყვანა; ზმნის პირის, რიცხვისა და დროის მიხედვით ცვლა; მიკროტექსტის შეცვლა თხრობის კუთხის მიხედვით და ა.შ.; ➤ სხვადასხვა ნიშნით სიტყვათა გადახარისხება (მაგ., ზმნების - დაბოლოების მიხედვით; აქტიურობა-პასიურობის მიხედვით: ყრია/ყრის, აწყია/აწყობს და ა.შ.); ➤ ცხრილების შევსება სხვადასხვა პირობის მიხედვით (მაგ., გრამატიკული თუ სემანტიკური ნიშნით და ა.შ.); ➤ ლექსიკონის შედგენა სხვადასხვა პარამეტრით (მაგ., ანბანის რიგის მიხედვით, თემატურად, გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, მსგავსი და საპირისპირო სიტყვები და ა.შ.). | |
| მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები | |
| სტანდარტის შედეგები | V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სიტუაციაში მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ ზეპირად კითხულობს ლექსებს, გაითამაშებს მარტივ დიალოგებს, მონაწილეობს საკლასო სპექტაკლებში და ა.შ.; ➤ ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელსა და თანაკლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებით; ➤ ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას (ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს); ➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციებს, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს. |
| ქ.მ.დაწყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს/პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით; ➤ სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს ნაწავლი ტექსტის შინაარსის, მისთვის ნაცნობი თემების გარშემო; ➤ მონაწილეობს საკლასო და სიმულაციურ სიტუაციებში; ➤ სურათებზე დაყრდნობით ან გეგმის მიხედვით გადმოსცემს მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს, ახალ ამბავს; ➤ საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე. |
| ქ.მ.დაწყ.(II).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისთვის ნაცნობ და საინტერესო თემებსა თუ საკითხებზე საკუთარი აზრის, პოზიციის გამოთქმა; ინფორმაციის პირად ან სხვის გამოცდილებაზე გადატანა. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ მონაწილეობს სწავლების პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიაში; ➤ აფასებს საკუთარ / სხვის (მათ შორის, ტექსტის პერსონაჟების) ქცევას; ➤ კონკრეტულ სიტუაციაზე / ფაქტზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; |

| | |
|---|--|
| | <ul style="list-style-type: none"> ➤ მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის შინაარსი გადააქვს პირად ან სხვის გამოცდილებაზე (ჰყვება გაგონილ, ნანახ ან თავს გადამხდარ ამბავს). |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, ენობრივი კონსტრუქციებისა და კონკრეტული გრამატიკული ფორმების ფუნქციური გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს; ➤ ცდილობს მართებულად გამოიყენოს თავაზიანი და ფამილარული ფორმები; ➤ სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით სიტყვებს (<i>ვინ? რა? რამდენი? როდის? როგორი? რომელი?</i> და ა.შ.); ➤ სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით (<i>ეს/ის</i>) და კითხვით (<i>რომელი</i> თუ <i>როგორი</i>) ნაცვალსახელებს; ➤ ამბის გადმოცემისას სწორად იყენებს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს (<i>მაგ., ერთხელ, თავიდან, მერე, ბოლოს</i>); ➤ იყენებს კონტექსტის შესაფერის მარტივ ენობრივ ფორმულებსა და კონსტრუქციებს; ➤ შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებში სათანადოდ იყენებს მოქმედების ინტენსივობის, ადგილისა და დროის გამომხატველ ზმნიზედებს (<i>მაგ., ხანდახან, ხშირად, იშვიათად</i>); ➤ კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმას (<i>აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი</i>); ➤ სასაუბრო თემებისათვის იყენებს სათანადო ლექსიკას. |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) საკლასო და სიმულაციური დიალოგები;</p> <p>ბ) ლექსები, სიმღერები, საბავშვო პიესები;</p> <p>გ) ნასწავლი თხრობითი და აღწერითი ტექსტები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მშობლიურ ენაზე დახმარების თხოვნა მასწავლებლის ან თანაკლასელისაგან; ➤ კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების გამოყენება (ჟესტების, მიმიკის); ➤ წინასწარ ვარჯიში, რეპეტიცია მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან ერთად. | |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მინიინტერვიუების მოწყობა თანაკლასელებთან ნაცნობი თემების გარშემო (<i>მაგ., არდადადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაული</i> და ა.შ.); ➤ მარტივი ინტერაქცია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან (<i>მაგ., ყოველდღიურ საკლასო სიტუაციებთან დაკავშირებით; ნასწავლი ტექსტების გარშემო კითხვების დასმა და პასუხი</i> და ა.შ.); ➤ ილუსტრაციების, რეალური და წარმოსახვითი ადამიანების აღწერა-დახასიათება, მათი შედარებითი დახასიათება სხვადასხვა ნიშნით; ➤ საუბარი ნასწავლი თემებისა და ტექსტების გარშემო (<i>მაგ., ჰყვება საკუთარ მეგობრებზე; იძლევა ინფორმაციას თავისი კუთხის / სოფლის / ქალაქის შესახებ; საუბრობს საქართველოზე; მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსს</i> და ა.შ.); ➤ თანაკლასელებთან ერთად სხვადასხვა სიმულაციური სიტუაციის გათამაშება (<i>მაგ., კაფეში, შეხვედრა თანატოლთან / უფროს ადამიანთან, გამოფენის წარდგენა</i> და ა.შ.); | |

- მინიპრეზენტაციების მოწყობა განხორციელებული პროექტების საფუძველზე (მაგ., კედლის გაზეთის მომზადება და წარდგენა; საოჯახო რეცეპტების გაცნობა; საოჯახო / მეგობრების ალბომის შექმნა და წარდგენა; საკუთარი სოფლის / ქალაქის / ვუთხის ღირსშესანიშნაობების შესახებ მოძიებული მასალის წარდგენა; საკლასო სპექტაკლის მოწყობა და ა.შ.)
- და სხვა.

| მიმართულება: სწავლის სწავლა | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(II).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ მასწავლებელთან ერთად გეგმავს შესასრულებელ სამუშაოს და ადგენს შესრულების ვადებს; ➤ აქტიურად ებმება სასწავლო პროცესში; ➤ მუშაობის პროცესში ადგენს, რა უჭირს და უზიარებს მასწავლებელს; ➤ მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობისას; ➤ არ უფრთხის შეცდომების დაშვებას; ➤ სვამს შეკითხვებს და ითხოვს დახმარებას, როცა უჭირს ან რაიმე არ ესმის; ➤ მონაწილეობს თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; ➤ მშობლიურ ენაზე ასახელებს ზოგიერთ ფაქტორს, მიზეზს, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (მაგ., იყო უყურადღებოდ, არ გაიმეორა მასალა, ვერ გაბედა შეკითხვის დასმა და ა.შ.). |
| ქ.მ.დაწყ.(II).16. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების გამოვლენა. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ შეფასებისას იჩენს კორექტულობას; ➤ კამათისას ყურს უდგებს განსხვავებულ მოსაზრებებს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები; ➤ ახერხებს მეწყვილისთან და თანაგუნდელებთან მორიგებას; ➤ ეხმარება თანატოლებს; ➤ კორექტულად უდგება საკუთარ თუ სხვის შეცდომებს; ➤ ავლენს პოზიტიურ დამოკიდებულებებს. |
| ქ.მ.დაწყ.(II).17. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება. | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს სახელმძღვანელოს სარჩევს, ლექსიკონს, სტრუქტურულ ნიმუშებს, ილუსტრაციებს და ა.შ.; ➤ სათანადო შეკითხვებს უსვამს მასწავლებელს/ კომპეტენტურ პირს; ➤ ქმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., ანბანური /თემატური ლექსიკონი, პლაკატი, მარტივი სქემა, კითხვარი და ა.შ.); ➤ საჭიროების შემთხვევაში, მოიძიებს სასურველ ინფორმაციას სკოლის გარეთ. |

V კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით; ძირითადი ენობრივი საკითხები:

| სამეტყველო ფუნქციები | ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები | ძირითადი ენობრივი საკითხები |
|----------------------|--|-----------------------------|
|----------------------|--|-----------------------------|

| | | |
|---|---|---|
| <p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის / სხვისი წარდგენა, მილოცვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მოზოდისშება, ტელეფონით საუბარი</p> | <p>ხვალამდე! გისმენთ! სთხოვეთ! თუ შეიძლება! როგორ ბრძანდებით? თქვენ ბრძანდებით?</p> | <p>ფონეტიკა/მრფოლოგია/ სინტაქსი:</p> <p>1. არსებითი სახელი: ბრუნება _ სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები და მათი ფუნქციები;</p> <p>2. ზედსართავი სახელი: ვითარებითი ზედსართავები და მათი ფუნქციები წინადადებაში;</p> <p>3. ნაცვალსახელი: პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები;</p> <p>4. ზმნა: მწკრივები: აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი; პირნაკლი ზმნები: წვიმს, თოვს... თავისებური ზმნები: დევს - აწყვია, გდია - ყრია, ზის - სხედან.</p> <p>5. ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების);</p> <p>6. საწყისი</p> <p>7. მიმღობა (მწერალი, მშენებელი, მხატვარი, მეპურე, მუსიკოსი...);</p> <p>8. თანდებული (-დან, - ში, -ზე, -თან, გან);</p> <p>9. სიტყვაწარმოება (- იანი, უ-ო, -ელი);</p> <p>10. შეთანხმებული მსაზღვრელ- საზღვრულის ბრუნება (ჩემი ძმა, ჩემს ძმას; დიდი ბიჭი, დიდ ბიჭს; პატარა გოგო, პატარა გოგოს)</p> |
| <p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი / ნათესავები, საკუთრება, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, გემოვნება, საყიდლებზე ყოფნისას</p> | <p>ვარ საიდან / სადაური? ...-დან + ყოფნა ზმნა სამივე დროში (თბილისიდან ვარ); ზმნა სამივე დროში + ...-ში (ვცხოვრობ თბილისში; მუშაობს სკოლაში); ზმნა სამივე დროში + ...-ის ქუჩაზე (ვცხოვრობ დოლიძის ქუჩაზე); დავიბადე ... წელს, ... (მაისს); ჩემი ოჯახის წევრები არიან ... ; სახელი + -ა(რის) (ექიმი); მინდა + სახელი (ნათ.-ში) + საწყისი (მინდა ბურთის ყიდვა/თამაში); რით ერთობი? _ ვერთობი + სახელი მოქმ.-ში (ვერთობი ბურთით); რას აპირებ? _ ვაპირებ + საწყისი მიც.-ში (ვაპირებ ხატვას); რას აპირებ ? ვაპირებ + საწყისი; რას აკეთებდა, რითი ერთობოდა?</p> | <p>3. ნაცვალსახელი: პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები;</p> <p>4. ზმნა: მწკრივები: აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი; პირნაკლი ზმნები: წვიმს, თოვს... თავისებური ზმნები: დევს - აწყვია, გდია - ყრია, ზის - სხედან.</p> <p>5. ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების);</p> <p>6. საწყისი</p> <p>7. მიმღობა (მწერალი, მშენებელი, მხატვარი, მეპურე, მუსიკოსი...);</p> <p>8. თანდებული (-დან, - ში, -ზე, -თან, გან);</p> <p>9. სიტყვაწარმოება (- იანი, უ-ო, -ელი);</p> <p>10. შეთანხმებული მსაზღვრელ- საზღვრულის ბრუნება (ჩემი ძმა, ჩემს ძმას; დიდი ბიჭი, დიდ ბიჭს; პატარა გოგო, პატარა გოგოს)</p> |
| <p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</p> | <p>ჩემზე.../ყველაზე + ზედს. + -ა(რის) _ ჩემზე მაღალია; ჩემთან შედარებით უფრო... / ჩემსავით... + როგორი? როგორი გარეგნობა/ ხასიათი აქვს? მაცვია/აცვია + ...-იანი + სახელი (აცვია ჯიბეებიანი შარვალი); მაცვია/აცვია (როგორი?) + (რა?) აცვია + როგორ (ლამაზად, ცუდად...)? ყოფნა ზმნა + ...-იანი (არის მოკლეთმიანი)</p> | <p>3. ნაცვალსახელი: პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები;</p> <p>4. ზმნა: მწკრივები: აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი; პირნაკლი ზმნები: წვიმს, თოვს... თავისებური ზმნები: დევს - აწყვია, გდია - ყრია, ზის - სხედან.</p> <p>5. ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების);</p> <p>6. საწყისი</p> <p>7. მიმღობა (მწერალი, მშენებელი, მხატვარი, მეპურე, მუსიკოსი...);</p> <p>8. თანდებული (-დან, - ში, -ზე, -თან, გან);</p> <p>9. სიტყვაწარმოება (- იანი, უ-ო, -ელი);</p> <p>10. შეთანხმებული მსაზღვრელ- საზღვრულის ბრუნება (ჩემი ძმა, ჩემს ძმას; დიდი ბიჭი, დიდ ბიჭს; პატარა გოგო, პატარა გოგოს)</p> |
| <p>1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები (სახარული, კმაყოფილება, ბრაზი, სინანული,</p> | <p>მაინტერესებს + ეს/ის; სულ ერთია; საჭიროა, აუცილებელია + საწყისი (საჭიროა წერა);</p> | <p>საზღვრულის ბრუნება (ჩემი ძმა, ჩემს ძმას; დიდი ბიჭი, დიდ ბიჭს; პატარა გოგო, პატარა გოგოს)</p> |

| | | |
|---|---|---|
| <p>გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა), დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</p> | <p>ზმნა (აწმყოსა და წარსულში) + როგორ? (მოიქცა კარგად/ცუდად); მე მგონი, + ზედს. + -ა(რის) _ მე მგონი, კარგია / ლამაზია;</p> | <p>11. მარტივი წინადადება; 12. ინტონაცია სასვენი ნიშნების ფუნქციით.</p> |
| <p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა, დროში მრავალგზისი მოქმედება.</p> | <p>ერთხელ, თავიდან, ჯერ, შემდეგ, მერე, ბოლოს ყოველთვის, ხანდახან, ხშირად, იშვიათად, არასდროს... დავდივარ ხატვაზე (მაგრამ ახლა მივდივარ)</p> | <p>ორთოგრაფია/პუნქტუაცია:</p> <p>1. ორი წერტილი, ტირე; 2. მსაზღვრელ-საზღვრულის</p> |
| <p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...)</p> | <p>სად? საით? საიდან? საიდან სადამდე? (დასავლეთით, დასავლეთიდან, -იდან -ს მიმართულებით, -იდან -ისკენ, -იდან -ში)</p> | <p>შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში;</p> |
| <p>1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზანი, მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია</p> | <p>იმიტომ, რომ მაგრამ</p> | |

VI კლასი (დონე)

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|--|--|
| სტანდარტის შედეგები | VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ილუსტრირებული ტექსტის ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციასა და კონკრეტულ დეტალებს; ➢ ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა შორის არსებულ ურთიერთობებს (მაგ., მეგობრული, კონფლიქტური, ფორმალური, ახალგაგნობილები, დიდი ხნის ნაცნობები და ა.შ.); ➢ ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა ემოციებს, განწყობებსა და შეგრძნებებს; ➢ ამოიცნობს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს; ➢ ამოიცნობს ცალკეული მოქმედებების, ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობას. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ვერბალურ და არავერბალურ (მაგ., ინტონაციაზე, მახვილზე და ა.შ.) ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს პერსონაჟთა ქცევასა და ხასიათს; ➢ გამოხატავს საკუთარ აზრს პერსონაჟთა მოქმედებების მიმართ და ხსნის მათი ქცევის მიზეზებსა თუ მოტივებს; ➢ გამოაქვს კონკრეტული დასკვნები თანამოსაუბრეთა / პერსონაჟთა შესახებ; ➢ მოსმენილ ამბავს / ისტორიას / სიტუაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსმენილი ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ინტონაციის მიხედვით განარჩევს შეკითხვას თხოვნისაგან, რჩევას ბრძანებისაგან და ა.შ.; ➢ ამოიცნობს მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; ➢ ამოიცნობს გეზისა და ორიენტაციის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს (<i>ზმნისწინები, ადგილის ზმნიზედები, თანდებულები</i> და ა.შ.); ➢ ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს (<i>პირველად, ჯერ, შემდეგ, ბოლოს</i>); ➢ ამოიცნობს შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულების გამომხატველ მარკერებს (მაგ., <i>სურვილი, ვარაუდი, ბრძანება, აკრძალვა: შეგიძლია/უნდა/არ + გააკეთო</i>). |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი ილუსტრირებული და არაილუსტრირებული დიალოგები; აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტები; კომიქსები;</p> <p>ბ) მარტივი ავთენტური დიალოგები და ინტერვიუები;</p> <p>გ) პრაგმატული ტექსტები (მაგ., ზეპირი განცხადებები, მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციები და შეტყობინებები, მარშრუტი);</p> <p>დ) მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა; საბავშვო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები; საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები.</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> | |

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> ➤ ილუსტრაციების, სათაურის საფუძველზე ტექსტის შინაარსის შესახებ ვარაუდის გამოთქმა (შესაძლებელია მშობლიურ ენაზეც); ➤ ჩანაწერის ან უშუალოდ მეტყველების მოსმენისას არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობა; ➤ უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობის მცდელობა ნაცნობ სიტყვიერ თუ არასიტყვიერ ელემენტებზე დაყრდნობით (კონტექსტი, მიმიკა/ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია და ა.შ.); ➤ ქართულ ენაზე მარტივად იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა. |
| <p>კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მონიშვნა სწორი/არასწორი პასუხის, სათანადო ინფორმაციის (მაგ., <i>სად არის გაკეთებული განცხადება - სადგურში, თვითმფრინავში, სტადიონზე, სკოლაში, სუპერმარკეტში, მეტროში, ქუჩაში</i> და ა.შ.); ➤ კონკრეტული ინფორმაციით ცხრილის ან ნაკლები ტექსტის შევსება (მაგ., <i>სასკოლო ღონისძიების დრო და ადგილი, დაკარგული ნივთის მახასიათებლები, სურსათის ფასი, გამგზავრების დრო, უსაფრთხოების წესები, დანიშნულების ადგილი და მიმართულება</i> და ა.შ.); ➤ ინფორმაციის სხვადასხვა ნიშნით დალაგება (მაგ., <i>თანმიმდევრულად ალაგებს მოქმედებებს: ჯერ მარჯვნივ გაუხვიე, შემდეგ ქუჩა გადაკვეთე და იარე პირდაპირ...</i>); ➤ კითხვებზე პასუხის გაცემა (მაგ., <i>რა არის განცხადების თემა / მიზანი - რეკლამირება, გაფრთხილება, რეკომენდაციების / რჩევების მიცემა, მარშრუტის ახსნა; ვისთვის არის განკუთვნილი შეტყობინება, განცხადება; ვინ არიან დიალოგში მონაწილე პირები ერთმანეთისთვის</i> და ა.შ.); ➤ მოსმენილი ტექსტის მიხედვით სქემის, ილუსტრაციის შექმნა (მაგ., <i>ხაზავს მარშრუტის სქემას</i>); ➤ მარტივი გეგმის შედგენა; ➤ მოსასმენი ამოცანების შესაბამისად კონკრეტული ინფორმაციის ილუსტრაციასთან დაკავშირება; ➤ საკუთარი ვერსიების შედარება / შემოწმება / დაზუსტება ➤ და სხვა. |

| მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები | |
|--|--|
| სტანდარტის შედეგი: | VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ახსნა-განმარტებითი ტექსტების, განცხადებებისა და მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების საკომუნიკაციო სიტუაციას, თემასა და შინაარსს; ➤ ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას; ➤ ამოიცნობს მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობას; განმარტავს, სად იწყება და სად მთავრდება ამბის განვითარების საფეხურები და მიუთითებს შესაბამის მარკერებზე; ➤ ამოიცნობს ტექსტის / ინფორმაციის ავტორის ემოციებს, განწყობებსა და დამოკიდებულებებს; ➤ ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის მიხედვით ახასიათებს პიროვნებას; აღწერს საგნებს, გარემოს; მიუთითებს პერსონაჟთა ქცევის მოტივებზე; ➤ ამოიცნობს წინადადებებს ან ტექსტის ნაწილებს შორის არსებულ კავშირებს; ➤ იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, პოზიციას პერსონაჟისა და მისი მოქმედების, მოვლენის მიმართ; ➤ აფასებს პერსონაჟთა საქციელს და ამ ქცევის მოტივებს; ➤ ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; |

| | |
|---|---|
| <p>კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.</p> | <p>➤ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან.</p> |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამართულად და გამომეტყველებით კითხულობს კლასის წინაშე ნაცნობი ტექსტიდან სასურველ/შერჩეულ ნაწყვეტს; ➤ მონაწილეობს დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში; ➤ სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციას. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობა, აღწერა) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე (მაგ., <u>აღწერისას</u> - <i>ზედსართავებისა და ნაზმნარი ზედსართავების, ანუ მიმღებების სიჭარბე, ზმნების ნაკლები რაოდენობა; თხრობისას</i> - <i>ზმნების სიჭარბე, მოქმედების თანამიმდევრობა და მისი მარკერები</i> და ა.შ.); ➤ სტრუქტურული ორგანიზების მიხედვით ადარებს ერთმანეთს ერთი და იმავე ტიპის ტექსტებს და მშობლიურ ენაზე მსჯელობს, რომელი მათგანი უფრო მეტად უწყობს ხელს ტექსტის აღქმას; ➤ კონტექსტის მიხედვით ამოიცნობს კონკრეტული თანდებულის ფუნქციას (მაგ., -დან -მდე თანდებულებით ადგილისა და დროში სიხშირის/ინტენსივობის განსაზღვრა და ა.შ.); ➤ ამოიცნობს დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველ სიტყვებს, სიტყვათშეხამებებსა და კავშირებს; ➤ ამოიცნობს შეფასება/დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს; ➤ ამოიცნობს და მართებულად აკავშირებს ერთმანეთთან მისათითებელ სიტყვებსა და წევრ-კავშირებს (მაგ., <i>იქ - სადაც, მაშინ - როცა</i> და ა.შ.); ➤ ამოიცნობს სასვენი ნიშნების ფუნქციას (მაგ., <i>კონტექსტის მიხედვით ამოიცნობს, რა არის გამომხატული ძაბილის ნიშნით - ბრძანება, თხოვნა, სიხარული, მწუხარება</i> და ა.შ.). |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) პრაგმატული ტექსტები (განცხადებები, შეტყობინებები, მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციები);</p> <p>ბ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);</p> <p>გ) მცირე ზომის ადაპტირებული მხატვრული ტექსტები (ლექსი, მოთხრობა, ლიტერატურული ზღაპარი, ლეგენდა);</p> <p>დ) ილუსტრირებული შემეცნებითი ტექსტები;</p> <p>ე) მარტივი ბიოგრაფიული ტექსტები (დღიური, მოგონება).</p> | |
| <p>სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პირველი წაკითხვისას ტექსტის მთლიანად გაცნობა ისე, რომ არ ჩერდება უცნობ სიტყვებზე; ➤ სირთულეების დასაძლევად რთული ან მნიშვნელოვანი ადგილების გადაკითხვა; ➤ კონტექსტის, გამოცდილების ან ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის დაზუსტება; ➤ კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით ტექსტის სწრაფად წაკითხვა, შესაბამისი საყრდენების მოძიება (მაგ., <i>საკვანძო სიტყვების, თავების/პარაგრაფების სათაურების</i>), აზვაცების პირველი წინადადებების წაკითხვა; ➤ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო; | |

- საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით სარგებლობა (იგებს და იყენებს ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე განთავსებულ ინფორმაციას: ავტორი, სათაური, გვერდების რაოდენობა);
- მარტივი ენით იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა.

კონკრეტულ აქტივობათა ნიმუშები:

- განსხვავებული ტიპის ტექსტების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებებზე მითითება (მაგ., განცხადებისა - მარშრუტთან; კორესპონდენციისა - ბიოგრაფიულ ტექსტთან, ბიოგრაფიული ტექსტისა - შემეცნებით ტექსტთან, ზღაპრისა - ლეგენდასთან და ა.შ.);
- კონკრეტული ინფორმაციის პოვნა / ამოკრება (მაგ., ავსებს ცხრილს; მონიშნავს სწორ/არასწორ პასუხს/ინფორმაციას; ადასტურებს ან უარყოფს მოცემულ ინფორმაციას; პოულობს რეპლიკებსა და მათ ავტორებს, დასმულ შეკითხვებზე პასუხებს და ა.შ.);
- საკითხავი ამოცანების შესაბამისად ინფორმაციების ერთმანეთთან ან ტექსტის ილუსტრაციებთან დაკავშირება (მაგ., სათაურს აკავშირებს ტექსტთან; გვერდის ცალკეულ პუნქტს - სათანადო აბზაცთან/აბზაცებთან; რუბრიკას ან ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს/ეპიზოდს - შესაბამის ილუსტრაციასთან; დიალოგს - რუკასთან; ცალკეულ ფრაზებს - კონკრეტულ ტექსტთან და ა.შ.);
- ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; საგნის, გარემოს, მოქმედების, მოვლენის აღწერა;
- არეული ტექსტის თანმიმდევრობით დალაგება (მაგ., დიალოგის არეულ რეპლიკებს ნომრავს თანმიმდევრობით; სიუჟეტურ სურათებს ნომრავს ისე, რომ ამბავი გამოვიდეს და ა.შ.);
- საკუთარი ვარაუდებისა და ვერსიების ტექსტის მიხედვით შემოწმება / შედარება;
- კონკრეტული პოზიციის გასამყარებლად ტექსტში სათანადო ინფორმაციის მოძიება;
- ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული სიმბოლური, სოციოკულტურული, საყოფაცხოვრებო რეალების მითითება;
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლენა (პოულობს და ასახელებს მსგავსებებს, განსხვავებებს);
- მოსმენილი ან წაკითხული ამბების, ზღაპრების, ლეგენდებისა თუ ნანახი ფილმების (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული) დასახელება მშობლიურ ენაზე, რომლებიც გაახსენა შესწავლილმა ტექსტმა
- და სხვა.

ენობრივ დავალებათა ნიმუშები:

- ენობრივი ერთეულების (/მასალის) დაკავშირება სხვადასხვა მიზნით (მაგ., შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; წინადადების ერთი ნაწილის დაკავშირება მეორესთან; სიტყვიერი განმარტების დაკავშირება შესაბამის ლექსიკურ ერთეულთან; გაყოფილი სიტყვათშეხამებების, მსგავსი ან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება და ა.შ.);
- წინადადებაში სწორი/არასწორი სიტყვის ან შესიტყვების, გრამატიკული ფორმის მონიშვნა / გადახაზვა;
- ტექსტში დაშვებული ლექსიკური თუ გრამატიკული შეცდომების პოვნა და მითითება;
- განმარტებების მიხედვით შესაბამისი ლექსიკური ერთეულის გამოცნობა / დასახელება;
- მოცემული ვარიანტებიდან სწორი / არასწორი ვარიანტის მონიშვნა, შემოხაზვა
- და სხვა.

| მიმართულება კომუნიკაცია: წერა და წერის სტრატეგიები | |
|---|--|
| სტანდარტის შედეგები | VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| ქ.მ.დაწყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის / ამბის წერა ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან | მოსწავლე: <ul style="list-style-type: none"> ➤ იცავს ტექსტის ფორმალურ მხარეს; ➤ განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას და შესაბამისად ირჩევს სტილსა და სხვა ენობრივ მახასიათებლებს; |

| | |
|--|---|
| <p>ნიმუშისა თუ მოცემული პირობის მიხედვით.</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს, მითითებებს, შესაბამის რჩევა-დარიგებებს; ➤ აღწერს ადამიანებს, გარემოს, მოვლენებს, კონკრეტულ მოქმედებებს; ➤ მიუთითებს კონკრეტულ დეტალებს (<i>ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ, რისთვის</i> და ა.შ.); ➤ გამოხატავს საკუთარ განწყობებს, განცდებსა და ემოციებს, გრძნობებსა და სურვილებს; ➤ ავლენს შემოქმედებით დამოკიდებულებას. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ადამიანისადმი / ფაქტისადმი / მოვლენისადმი; ➤ აფასებს პერსონაჟის / ცხოველის ქცევას, ამ თუ იმ მოვლენას, ტექსტის მიზანს; ➤ ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; ➤ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით წერილობითი ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლებისა და ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს; ➤ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციის წარმოდგენისას (მაგ., <i>ინფორმაცია, რჩევა, თხოვნა, მოპატიჟება</i> და ა.შ.) იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა და ხერხებს; ➤ იყენებს ამა თუ იმ ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილურ საშუალებებს (მაგ., <i>ხშირად გამოყენებულ ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმას, სინტაქსურ წყობას, ლექსიკას</i>); ➤ დამოკიდებულების გამოსახატავად იყენებს სათანადო ფორმულებსა და სიტყვათშეხამებებს; ➤ დროში თანამიმდევრული მოქმედების გადმოცემისას იყენებს ერთი დროის ფორმებს; ➤ განარჩევს და იყენებს ზმნების შესაბამისი დროის ფორმებს (<i>აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მოვადი, II კავშირებითი</i>) კონკრეტულ ენობრივ კონსტრუქციებში (მაგ., <i>ახლა ვაკეთებ, გუშინ გავაკეთე, ხვალ გავაკეთებ/ უნდა გავაკეთო/გააკეთო</i>); ➤ მომავალში შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულებას (მაგ., <i>სურვილს, ვარაუდს, ბრძანებას, თხოვნას, აკრძალვას</i>) გამოხატავს II კავშირებითის ფორმით; ➤ ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში; ➤ იცავს ბრუნვის ნიშნებთან და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლწერის წესებს (მაგ., <i>ერთნაირი ბგერის თავმოყრა სახელსა და ზმნაში: ქათამა, ვვარჯიშობ</i> და ა.შ.); ➤ სწორად სვამს სასვენ ნიშნებს რთულ წინადადებაში. |
| <p>რეკომენდაციები</p> | |
| <p>ტექსტის ტიპები:</p> <p>ა) მარტივი კორესპონდენცია (პირადი წერილი);</p> <p>ბ) პრაგმატული ტექსტები (ინსტრუქციები, ტურისტული გზამკვლევი, საინფორმაციო ბუკლეტი, განცხადება და ა.შ.);</p> <p>გ) მცირე ზომის შემეცნებითი ხასიათის ტექსტები;</p> | |

დ) მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები (მოგონება, აშხავი, დღიური).

სტრატეგიები:

- სხვადასხვა წყაროდან საჭირო ინფორმაციის მოძიება (საბავშვო ლიტერატურიდან, ინტერნეტიდან, საგაზეთო სტატიიდან, საბავშვო ენციკლოპედიიდან და ა.შ.);
- სათანადო ილუსტრაციების მოძიება / შერჩევა;
- გზამკვლევის რუბრიკების შერჩევა;
- შესასრულებელი მასალის სამუშაო გეგმის შედგენა;
- სამუშაოს დაწყებამდე საჭირო ენობრივი რესურსების თავმოყრა (ლექსიკური თუ გრამატიკული მასალის, ნიმუშების, ენობრივი კონსტრუქციებისა და ა.შ.);
- შავი ვარიანტის წერა;
- მეწყვილისთვის ან თანაკლასელებისათვის შავი ვარიანტის წაკითხვა და მათი შენიშვნების გათვალისწინება;
- გასწორების მიზნით ნაწერის გადაკითხვა (*ასწორებს ენობრივ შეცდომებს, აუმჯობესებს დიზაინს - სიტყვიერი და არასიტყვიერი მათრგანი ზებელი ელემენტების განლაგებას*).

კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:

- რაიმეს მომზადების/მოხმარების/ჩატარების წესების დაწერა;
- პროცედურის აღწერა, კონკრეტული ამოცანისათვის ზუსტი მითითებების თანამიმდევრობით მიცემა (მაგ., *როგორ ჩაატაროს თანაკლასელმა ესპერიმენტი*);
- მეწყვილესთან (ან მცირე ჯგუფთან) ერთად ტურისტული ან საინფორმაციო ბუკლეტისათვის ტექსტის შექმნა (მაგ., *ადგილმდებარეობა, დამატებით სხვა საინტერესო ადგილები, სიძველე, განსაკუთრებულობა* და ა.შ.) და შეფასებების დართვა;
- ნახატის, რუკის ან გეგმის მიხედვით მარშრუტის წერა;
- კონკრეტული პიროვნების / ადგილის შესახებ რაიმე ამბის / ისტორიის გახსენება;
- საკუთარი ან წარმოსახვითი პერსონაჟის დღიურის წერა;
- ამბის დასრულება ან დასასრულის შეცვლა საკუთარი წარმოსახვით, ილუსტრაციაზე დაყრდნობით და ა.შ.;
- ნიმუშის ან მოცემული პირობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერა (მაგ., *გამოგონილი პერსონაჟის ერთი პატარა ისტორიის; მცირე ზომის აღწერითი ტექსტის, მაგ., ჩემი ოცნების სახლი; შემეცნებითი ტექსტის, მაგ., ციური სხეულები, ქვეყნები და ქალაქები* და სხვა);
- ილუსტრაციებისათვის წარწერების შედგენა
- და სხვა.

ენობრივი დავალებების ნიმუშები:

- წინადადებაში / ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომების გასწორება და გადაწერა;
- კონკრეტული საყრდენების ან მოცემული პირობის მიხედვით ნაკლები წინადადებების შევსება (კერძოდ: კითხვითი სიტყვების მიხედვით წინადადებაში გამოტოვებული წევრის სათანადო ფორმით ჩაწერა; ფრჩხილებში მოცემული საწყისების სათანადო პირიანი ზმნის ფორმით ჩასმა; ერთი სემანტიკური ველის მქონე სიტყვების ან სხვადასხვა ფორმით მოცემული ერთისა და იმავე სახელის ან ზმნის გადანაწილება: მაგ., *მოგ ზაური/სამოგ ზაუროდ/მოგ ზაურობს/მოგ ზაურობა; სვანეთს/სვანეთის/ სვანეთით...; დავბრუნდე/დავბრუნდები/დავბრუნდი/ვბრუნდები* და ა.შ.);
- ხაზგასმული სიტყვებისათვის შეკითხვების დასმა;
- წინადადებების შედგენა / აწყობა (მაგ., *არეული სიტყვების დალაგება; მოცემული სიტყვების სათანადო ფორმაში ჩასმა ისე, რომ სწორი წინადადება მივიღოთ* და ა.შ.);
- კითხვით სიტყვებზე მუშაობა და მათი გამოყენებით შესაბამისი შეკითხვების დასმა / წინადადებების შედგენა / დიალოგში გამოტოვებული რეპლიკების შევსება და ა.შ.;
- სიტყვის / წინადადების / ტექსტის შეცვლა (ტრანსფორმაცია), მაგ., *მხოლოდითიდან მრავლობითში გადაყვანა; ზმნის პირის, რიცხვისა და დროის მიხედვით ცვლა; მიკროტექსტის შეცვლა თხრობის კუთხის მიხედვით* და ა.შ.;

- სხვადასხვა ნიშნით სიტყვათა გადახარისხება (მაგ., კითხვითი სიტყვების მიხედვით; ზმნების კლასიფიცირება დაბოლოების მიხედვით, მწკრივების მიხედვით, აქტიურობა-პასიურობის მიხედვით და ა.შ.);
- ცხრილების შევსება სხვადასხვა პირობის მიხედვით (მაგ., გრამატიკული თუ სემანტიკური ნიშნით და ა.შ.);
- ნიმუშის მიხედვით მსაზღვრულ-საზღვრულის შედგენა, მსგავსი კონსტრუქციის მქონე წინადადებების აწყობა /მოფიქრება და ა.შ.
- და სხვა.

| მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები | |
|--|--|
| სტანდარტის შედეგები | VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სიტუაციაში მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მონაწილეობს საკლასო სპექტაკლებში, სიმულაციურ სიტუაციებში (მაგ., მარშრუტის ახსნა, ტელეფონით ინფორმაციის მოპოვება, შეხვედრის დანიშვნა და ა.შ.); ➤ ახერხებს ტელეფონით საუბარს ყოველდღიურ თემებზე; ➤ ძირითადად ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელს, კლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებით; ➤ ტექსტის შინაარსს ადექვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას (ინტონაციას, მიმიკას, ქესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს). |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს/პასუხობს კითხვებს: კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით; ნასწავლი ტექსტის შინაარსის, მისთვის ნაცნობი თემების გარშემო; ➤ კონკრეტული საყრდენების მიხედვით გადმოსცემს მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს, ახალ ამბავს; ➤ საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე, საკუთარ თუ სხვის გეგმებზე და ა.შ.; ➤ თანამიმდევრულად აღწერს მოვლენებს, მოქმედებებს; ➤ ჰყვება გაგონილ, თავს გადაამხდარ ამბავს / ისტორიას; ➤ გამოხატავს თავის ემოციებს, განწყობებს, სურვილებს. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისთვის ნაცნობ და საინტერესო თემებსა თუ საკითხებზე საკუთარი აზრის, პოზიციის გამოთქმა; ინფორმაციის პირად ან სხვის გამოცდილებაზე გადატანა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მონაწილეობს სწავლების პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიაში; ➤ გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას გარკვეულ საკითხზე, მოჰყავს მაგალითები პირადი გამოცდილებიდან; ➤ აფასებს კონკრეტულ მოვლენებსა და მოქმედებებს; ➤ კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; ➤ განმარტავს საკუთარ პოზიციას, რატომ ფიქრობს ასე. |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სათანადო ენობრივი</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ინტერაქციის წარმართვისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის ენობრივ კონსტრუქციებსა და ფორმულებს, კლიშეებს (მაგ.; თუ შეიძლება, |

| | |
|--|---|
| <p>ფორმულებისა და კლიშეების, ენობრივი კონსტრუქციებისა და კონკრეტული გრამატიკული ფორმების ფუნქციური გამოყენება.</p> | <p><i>სთხოვეთ / მითხარით / დამეხმარეთ</i> და ა.შ.);</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით (<i>ეს/ის</i>) და კითხვით (<i>რომელი</i> თუ <i>როგორი</i>) ნაცვალსახელებს; ➤ სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით სიტყვებს; ➤ მართებულად იყენებს შესაბამის ფორმულებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., <i>შეფასება/ დამოკიდებულების გამოსახატავად: მიყვარს/მომწონს + საწყისი; ჩემი აზრით; მე ვფიქრობ, რომ</i> და ა.შ.); ➤ დროსა და სივრცეში ორიენტაციას გამოხატავს სხვადასხვა ენობრივი საშუალებით (<i>ზმნიზედა; ზმნა: ზმნისწინი, მწკრივის ფორმები; სათანადო სიტყვათმუხამებანი: ქუჩის დასაწყისში/ზოლოს... გადახვალ ქუჩაზე, წახვალ ქუჩით, გადაკვეთ ქუჩას</i> და ა.შ.); ➤ მომავალი დროის გამოსახატავად კონტექსტის მიხედვით იყენებს <i>მყოფადისა და II კავშირებითის</i> ფორმებს; ➤ კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის სათანადო ფორმებს (მაგ., <i>აკეთებს / გააკეთა / გააკეთებს</i>); ➤ იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით; ➤ ცალკეულ თემებსა თუ საკითხებზე საუბრისას იყენებს სათანადო ლექსიკას; ➤ სწორად იყენებს ქართულისათვის დამახასიათებელ ინტონაციას (მაგ., განცდების გამოსახატავად, სასვენო ნიშნების ფუნქციით). |
|--|---|

რეკომენდაციები

ტექსტის ტიპები:

ა) საკლასო და სიმულაციური დიალოგები;

ბ) ლექსები, სიმღერები, საბავშვო პიესები;

გ) ნასწავლი თხრობითი და აღწერითი ტექსტები (რეალური და გამოგონილი ამბები);

დ) პრაგმატული ტექსტები (გზამკვლევი, ტურისტული ბუკლეტი...).

სტრატეგიები:

- კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების გამოყენება (ჟესტების, მიმიკის, მითითების);
- წინასწარ ვარჯიში, რეპეტიცია მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან ერთად;
- შეცდომის მიხვედრა და გასწორება;
- სასაუბრო თემის მარტივი გეგმის შედგენა.

კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:

- მინიინტერვიუების მოწყობა თანაკლასელებთან ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., *მოგზაურობა, საყვარელი ქალაქი, ექსკურსიის შთაბეჭდილებები, გართობა* და ა.შ.);
- მარტივი ინტერაქცია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან (მაგ., *ყოველდღიურ საკლასო სიტუაციებთან დაკავშირებით; ნასწავლი ტექსტების გარშემო კითხვების დასმა და პასუხი* და ა.შ.);
- ილუსტრაციების, რეალური და წარმოსახვითი ადამიანების, ტექსტის პერსონაჟების აღწერა-დახასიათება, მათი შედარებითი დახასიათება სხვადასხვა ნიშნით;
- საუბარი ნასწავლი თემებისა და ტექსტების გარშემო (მაგ., *საუბრობს ახალგაგნობილ მეგობრებზე; საოცნებო ქვეყნის/ქალაქის შესახებ; გამოხატავს თავის სურვილებსა და ოცნებებს: სად უნდა, რომ წავიდეს; რა უნდა, რომ ნახოს/დაათვალიეროს და რატომ...; გადმოსცემს თავის ემოციებსა და შთაბეჭდილებებს; მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსს; აფასებს პერსონაჟთა საქციელს და მარტივად*

- განმარტავს საკუთარ პოზიციას; იხსენებს მსგავს შემთხვევებს პირადი გამოცდილებიდან; გამოთქვამს ვარაუდებს და ა.შ.);
- თანაკლასელებთან ერთად სხვადასხვა სიმულაციური სიტუაციის გათამაშება (მაგ., მარშრუტის ახსნა - როგორ მივიდეს დანიშნულების ადგილამდე; რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა, როგორ მოემზადონ ლაშქრობისთვის, როგორ მოიქცნენ ბუნებაში და ა.შ.);
 - მინიპრეზენტაციების მოწყობა განხორციელებული პროექტების საფუძველზე (მაგ., სარეკლამო ბუკლეტის მომზადება და წარდგენა; საოჯახო რეცეპტების გაცნობა; საკლასო სპექტაკლის მოწყობა და ა.შ.)
 - და სხვა.

| მიმართულება: სწავლის სწავლა | |
|--|---|
| სტანდარტის შედეგები | VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საჭიროებისამებრ, მასწავლებლის დახმარებით გუნდის წევრებთან ერთად გეგმავს შესასრულებელ სამუშაოს და ადგენს განხორციელების ეტაპებს; ➤ მასწავლებლის დახმარებით გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობას; ➤ მუშაობის პროცესში ადგენს, რა უჭირს და უზიარებს მასწავლებელს; ➤ მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობისას; ➤ კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად თავს უყრის საჭირო რესურსებს და ახდენს ცოდნის მობილიზებას; ➤ აკვირდება შეცდომებს და ცდილობს, გაარკვიოს მიზეზი; ➤ სვამს შეკითხვებს და ითხოვს დახმარებას, როცა სიმძნელებს აწყდება, ან რაიმე არ ესმის; ➤ მონაწილეობს თვითშეფასებასა და თანაშეფასებაში; ➤ შედეგებზე დაკვირვებით ასახელებს, სად აქვს წინსვლა და სად - არა; ➤ მშობლიურ ენაზე ასახელებს ზოგიერთ ფაქტორს, მიზეზს, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (მაგ., სათანადოდ არ გამოიყენა რესურსები, გამოტოვა ერთი ეტაპი, ამოცანა დაუძლეველი მოეჩვენა, არ იყო გუნებაზე და ა.შ.); ➤ ცდილობს, დაასახელოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები (ძირითადად, მშობლიურ ენაზე). |
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).16. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების გამოვლენა.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღნიშნავს დაშვებულ შეცდომებს; შეფასებისას იჩენს კორექტულობას; ➤ კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები; ➤ ახერხებს მეწყვილესთან და თანაგუნდელებთან მორიგებას; ➤ მეწყვილესთან / გუნდის წევრებთან ერთად გადაჭრის დასმულ საკითხს; ➤ ეხმარება თანატოლებს; ➤ ავლენს პოზიტიურ დამოკიდებულებებს; ➤ უთანხმოებისას ცდილობს შეთანხმების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| <p>ქ.მ.დაწყ.(II).17. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</p> | <p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (მაგ., <i>ლექსიკონს, სტრუქტურულ ნიმუშებს, გრამატიკულ ცნობარსა</i> და ა.შ.); ➤ სათანადო შეკითხვებს უსვამს მასწავლებელს / კომპეტენტურ პირს; ➤ ქმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., <i>ანბანურ / თემატურ ლექსიკონს, სქემას, კითხვარს, ცხრილსა</i> და ა.შ.); ➤ სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით ახარისხებს სხვადასხვა გზით მოპოვებულ ინფორმაციას; ➤ საჭიროების შემთხვევაში, მოიძიებს სასურველ ინფორმაციას როგორც სკოლაში არსებული რესურსების ფარგლებში (მაგ. <i>საკლასო თვალსაჩინოებებს, მასალას სკოლის ბიბლიოთეკიდან, მასწავლებლიდან</i> და ა.შ.), ისე სკოლის გარეთ. |
|---|---|

VI კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები
 სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით; ძირითადი ენობრივი საკითხები:

| სამეტყველო ფუნქციები | ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები | ძირითადი ენობრივი საკითხები |
|--|--|---|
| <p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის / სხვისი წარდგენა, მილოცვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მაძლობის გადახდა, მობოდიშება, ტელეფონით საუბარი</p> | <p>გმადლობთ + ...თვის (დახმარებისათვის)! მოგესალმები(თ)! მაპატიეთ! უკაცრავად! თუ შეიძლება, ... შეგიძლიათ, ...?</p> | <p>ფონეტიკა/მორფოლოგია/სინტაქსი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არსებითი სახელი; 2. რიცხვითი სახელი; 3. ზედსართავი სახელი: ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები; ხარისხის წარმოება. 4. ნაცვალსახელი: კუთვნილებითი და კითხვითი ნაცვალსახელები; 5. ზმნა: პირისა და რიცხვის გამოხატვა; ბრძანებითის გამოხატვა – წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი; |
| <p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი / ნათესავები, საკუთრება, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, გემოვნება, საყიდლებზე ყოფნისას</p> | <p>გვარად + ...-ა(რის) (...მეა/...- შვილია); წარმოშობით აქაური/იქაური ვარ; ჩემი მისამართია ...; მინდა, უნდა + ზმნა (II კავშირებითში) – მინდა ვიყიდო, გავისინჯო, წავიდე...</p> | <p>მწკრივები: II კავშირებითი, წყვეტილი; მარტივი და რთული ზმნისწინები.</p> <ol style="list-style-type: none"> 6. მიმღობა; 7. თანდებული: -დან, -მდე (ადგილის გამოხატვა, დროში სიხშირის განსაზღვრა); 8. სიტყვაწარმოება: (-ური / -ული) 9. მსაზღვრელ-საზღვრული: (მართულმსაზღვრელიანი სახელის ბრუნება – სკოლის ეზო, მეზობლის სახლი); 10. ნაწილაკი: არ / ნუ 11. რთული წინადადება; 12. ინტონაციის ძირითადი ელემენტები (ლოგიკური მახვილი, პაუზა და სხვა). |
| <p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</p> | <p>როგორია გარეგნულად? როგორი ბუნებისაა? უფრო + ...ა, ვიდრე ... ისეთივეა, როგორც ... ჩემხელა, ჩემნაირი...</p> | <p>ორთოგრაფია/პუნქტუაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ძახილის ნიშანი და მისი ფუნქციები; |
| <p>1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები (სახარული,</p> | <p>ჩემი ვარაუდით, ... ; როგორც მე ვფიქრობ, ... რა თქმა უნდა! მე მგონი, ... / არა მგონია, ... ვეთანხმები / არ ვეთანხმები</p> | <ol style="list-style-type: none"> 2. მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში; 3. რთული რიცხვების მართლწერა; 4. სასვენი ნიშნების ხმარება მარტივ და რთულ წინადადებებში; |

| | | |
|---|---|---|
| <p>კმაყოფილება, ბრაზი, სინანული, გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა), დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</p> | | <p>ლექსიკა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სიტყვაწარმოება (როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება). 2. სინონიმები, ანტონიმები. |
| <p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</p> | <p>სულ, ყოველთვის</p> | <p>ტექსტის ლინგვისტიკა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არამხატვრული ტექსტის სტრუქტურული თავისებურებანი და მისი მახასიათებლები. |
| <p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...)</p> | <p>მიდის + ...-ისკენ/-ის მიმართულებით; გადახვალ ქუჩაზე, გადაკვეთ ქუჩას; ...-ის ბოლოს/დასაწყისში/ კუთხეში..., წადი ...-მდე . . .</p> | <ol style="list-style-type: none"> 2. ტექსტის კომპოზიცია (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული) |
| <p>1.7. ინსტრუქციის მიცემა: რჩევა-დარიგება, მოთხოვნა, აკრძალვა, ნებართვის მიცემა, ვალდებულება</p> | <p>აუცილებლობა: (არ) უნდა + II კავშირებითი ნების დართვა/რჩევის მიცემა: შეგიძლია (არ) + II კავშირებითი; გირჩევ (არ) + II კავშირებითი სასურველობა: იქნებ (არ) + II კავშირებითი</p> | |
| <p>1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზანი, მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია</p> | <p>მაშინ ..., როცა / როცა ..., მაშინ რატომ? რის გამო? რა მიზეზით? _ ამიტომ / ამის გამო; იმიტომ, რომ... / იმის გამო, რომ... / იმ მიზეზით, რომ ...</p> | |